სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 16 ნოემბერი 2006 №266 (2888) ფასი 50 თეთრი

2 0 მონტევიდეო

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

დავით სირაძე (№43) საგოლე პასით გამოირჩა



გიორგი დემეტრაძე (№30) აქტიურიც იყო და მსაჯს პენალტიც დასტყუა

გამოვიდა: გავიდა! ქართველების ურუგWOWგოლი

თბილისი. 15 ნოემბერი. 21 საათი. ეროვნული. 17 000 მაყურებელი

საქართველო 2:0 ურუგვაი

1:0, 2:0 კობიაშვილი (40პ, 61)

საქართველო: რევიშვილი, გოგუა (კობახიძე 85), სალუქვაძე, შაშიაშვილი, კანდელაკი, ბურდული, მენთეშაშვილი, კობიაშვილი, ცქიტიშვილი (გრიგალაშვილი 71), დემეტრაძე (აშვეთია 75), სირაძე (წინამძღვრიშვილი 75) *სათადარიგონი:* ლომაია; იმედაშვილი, გამეზარდაშვილი **მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი	**ურუგვაი:** კარინი, ლუგანო, გოდინი, სკოტი (დიოგო 63), დ. როდრიგესი, გარხანო, გ. ვარელა (მ. პერეირა 53), ჯაკომაცი (პოუსო 68), ესტოიანოფი, კანობიო (კასტრო 46), ფორლანი *სათადარიგონი:* კასტილიო; ფუსილე, გ. ვარგასი **მწვრთნელი:** ოსკარ ტაბარესი

გაფრთხილება: როდრიგესი (18), გოგუა (23), ესტოიანოფი (29), გოდინი (39), ფორლანი (39), დემეტრაძე (41), ვარელა (43), ჯაკომაცი (63), დიოგო (75)

მსაჯები: ვ. გოდილანი; ვ. სუსლო, ა. ჟურბა (სამივე უკრაინა); ლ. კვარაცხელია (საქართველო)

დელეგატი: ა. შალამბერიძე (საქართველო)

კობა ინასარიძე

ზედიზედ ოთხი წაგების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მოგების გემო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან გაიხსენა.

კლაუს ტოპმიოლერის გუნდს, რომელსაც ამ მწვრთნელის მოსვლის შემდეგ საშინელი უიღბლობა დასჩემდა, გუშინ მეტოქედ მსოფლიოში რეიტინგით მეჩვიდმეტეადგილოსანი ნაკრები ჰყავდა. საქართველომ კი ასეთ სახელოვან სამხრეთამერიკელებს შინ დამაჯერებელი მარცხი გაატანა.

ჩვენები, როგორც ბოლო დროს ნაჩვევნი ვართ, ამჯერადაც, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით იყვნენ. თავად განსაჯეთ, სხვადასხვა მიზეზით ნაკრებს აკლდნენ კახა კალაძე, შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, მალხაზ ასათიანი, ჯაბა კანკავა, დავით მუჯირი, ოთარ მარცვალაძე, ალექსანდრე იაშვილი — ამათ დავუმატოთ ორი ფეხბურთელიც და ერთ გუნდს მივიღებთ. თუმცა ურუგვაისთან ტოპმიოლერის საქართველო იღბალმა აღარ გაწირა და ყველა საგოლე მომენტი თუ გოლით არ დასრულდა, ჩვენებმა ორი მაინც გაიტანეს. ტოპმიოლერის საქართველო გუშინ არც მსაჯებმა გაწირეს და ესეც აღსანიშნი გვგონია. თურმე შეიძლება, მსაჯები ქართველების სასარგებლოდ უხეშად შეცდნენ. აბა, დაჩაგრულის როლში სულ საქართველო ხომ არ დარჩება?!

მოკლედ, კარგი და სასიამოვნო საღამო გამოვიდა, თუმცა ალბათ უკეთესიც იქნებოდა, ტოპმიოლერის გუნდს საუკეთესო შემადგენლობით რომ ეთამაშა. ისე, მატჩი ამხანაგური იყო და მწვრთნელს რამდენიმე ფეხბურთელის გამოცდის საშუალება მიეცა. ნამატჩევს კი თავადვე თქვა — ლადო ბურდულმა და დავით სირაძემ დღეს კარგად ითამაშესო.

ტოპმიოლერმა მატჩი მისთვის ცოტა უჩვეულო, საქართველოს ნაკრებისთვის კი ადრე მრავალნაცადი 4-4-2 განლაგებით დაიწყო. ვერ გეტყვით, მწვრთნელმა ასეთი სქემა და ტაქტიკა მის ხელთ მყოფი კონტინგენტის გათვალისწინებით აირჩია თუ შოტლანდიასთან საგაისო შესარჩევი მატჩისთვის მზადებას აქედანვე შეუდგა, მაგრამ ნათელი იყო, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი, ბოლო მატჩებისგან განსხვავებით, უფრო ფრთხილობდა და მეტოქეს თავისი ფეხბურთის თამაშის საშუალებას არ აძლევდა. ფაქტია: ურუგვაის შემტევ და ერთობ ტექნიკურ გუნდს გუშინ ნუკრი რევიშვილის კართან არც ერთი საგოლე მომენტი არ შეუქმნია. ჩვენები ყველანაირად ერიდებოდნენ მაღალ პასებს და ბურთის მსწრაფლ გათამაშებას ცდილობდნენ. ხშირად ეს ძალიან კარგადაც გამოსდიოდათ და ორივე გოლიც სწორედ ასე, წამებში გათამაშებულ კომბინაციებს მოჰყვა. ასეთი ფეხბურთი განსაკუთრებით ბრიტანელების წინააღმდეგაა ეფექტური და ალბათ შეიძლება იმის თქმა, რომ ტოპმიოლერის გონება უკვე საშოტლანდიოდაა მომართული.

ჩვენები, ცოტა არ იყოს, ფრთხილობდნენო, კი ვთქვით, მაგრამ ბურთი რომ ურუგვაელთა ნახევარზე გადაგორდებოდა, მერე საპირისპიროც ჩანდა — აგრესია, რაც ერთხელ მეტოქის კარის კუთხურის ნიშნულთან ყვითელი ბარათით დასრულდა. ძნელი სათქმელია, მატჩი ოფიციალური რომ ყოფილიყო, მომდევნო ჯარიმებისას არბიტრი ქართველ ფეხბურთელს დაინდობდა თუ არა, მაგრამ მატჩი ამხანაგური იყო, ამ ამხანაგობა-ამხანაგობაში კი ჩვენებს უფრო ეტყობოდათ, რომ მოგება სურდათ.

ურუგვაელთა კარში მასპინძლებმა პირველად პირველივე წუთზე დაარტყეს. ცენტრში გათამაშებულ ბურთს სტუმრები არც შეხებოდნენ, ლევან ცქიტიშვილმა ფაბიან კარინი დაახლოებით 30 მეტრიდან რომ შეაწუხა — მეკარემ ბურთი ხელებში გააქვავა. რამდენიმე წუთში მარჯვენა ჰავბეკად მოთამაშე ლადო ბურდულმა გაუჭრა ჩინებული პასი გიორგი დემეტრაძეს, რომელიც ურუგვაელთა საჯარიმოში ჩვეულად დაბზრიალდა და შორეულ ძელთან ჩააწოდა. გოლი გარდაუვალი ჩანდა, თუმცა ლევან კობიაშვილს მიზანმა უმტყუნა, რაც მალევე გაისწორა და მერე პირველი სანაკრებო დუბლიც მიითვალა.

საქართველო სწორედ კობის უნაკლო პენალტით დაწინაურდა: არბიტრმა დიეგო გოდინის დემეტრაძესთან ორთაბრძოლა 11-მეტრიანით შეაფასა. მსაჯის ამ გადაწვეტილებას სტუმართა პროტესტი მოჰყვა, რაც იმავე გოდინისა და დიეგო ფორლანის გაფრთხილებებით დამთავრდა. სათქმელია, რომ ურუგვაელებმა ამ შეხვედრაში კიდევ ხუთი ყვითელი ბარათი მიიღეს, ამათგან ერთი სიმულაციისთვის, დანარჩენი კი ზღვარგადასული უხეშობისთვის, რაც ოკეანისგაღმელთათვის ჩვეული ამბავია. ურუგვაი სამხრეთ ამერიკაში ყველაზე უხეშ გუნდად ითვლება.

ტაიმის დამთავრებამდე ხუთი წუთი იყო და შესვენებამდე საინტერესოც არაფერი მომხდარა. თუმცა ერთი დეტალი კი ჩავინიშნეთ — კობიაშვილის თანაკლუბელი, მარცხენაფლანგელი დარიო როდრიგესი ჩვენების კარის სიახლოვეში პირველ აუტს რომ აწვდიდა, მას დავით სირაძე აუხტა. ვთქვით, დეტალიაო, თუმცა ფეხბურთი სწორედ რომ ბევრი ასეთი დეტალისგან შედგება და კარგია, როცა ამხანაგური მეტოქის პლუს-მინუსებიც ჩვენებს შესწავლილი ჰქონდათ.

როდრიგესის აუტები კი მართლაც სახიფათო ყოფილა. მან მეორე ტაიმშიც ისროლა ბურთი საჯარიმოში, მაგრამ ქართველი მცველები ამას მომზადებულნი დახვდნენ.

შესვენებაზე ტოპმიოლერს შეცვლები არ გაუკეთებია, ტაქტიკური მონახაზიც თითქმის იგივე იყო, დაწინაურებულ ქართველებს უფრო მეტი მობილიზება ეტყობოდათ.

ისეთი გოლი კი, რომელიც მეორე ტაიმში ჩვენებმა გაიტანეს, უფრო სწორად, ისეთი გააზრებული და სხარტი შეტევა, რასაც კობის გოლი მოჰყვა, ნებისმიერი რანგისა და მეტოქეების შეხვედრას დაამშვენებდა. ცქიტიშვილმა, კობიაშვილმა და სირაძემ ბურთი თითო შეხებით ისე გაათამაშეს, მეტოქე მცველებმა აღარ იცოდნენ, რომელ ერთს გამოდევნებოდნენ: სირაძემ ბურთი მარცხენა ფლანგზე მიიღო, ჩვენები ჩაწოდებულის დასახვედრად საჯარიმოში შექანდნენ, საღლაც საჯარიმოს ხაზთან კი კობიაშვილი ყველას ჩამორჩა, სირაძემაც ეს უმალ შენიშნა და ბურთი სწორედ მას დაუგორა. დარტყმული ბურთი გოდინს თავში კი მოხვდა და ისე გავიდა კარში, მაგრამ ტრაექტორია ისეთი იყო, კარინი მისი აღმები ნაღდად არ ჩანდა, ვინაიდან უკვე გადამხტარი იყო.

გაიხარა ქომაგობამ და გაიხარეს ფეხბურთელებმა; გაიხარა კლაუს ტოპმიოლერმა... ამ კაცის გუნდმა ბოლოს და ბოლოს იმ საშინელ უიღბლობაზეც გაიმარჯვა, რაც საქართველოში ჩამოსვლის დღიდან თან ახლდა. იქნებ, ფორტუნაც ამას ელოდა და იქნებ, მომავალ მატჩებში მაინც ვნახოთ ამ მწვრთნელის საქართველო უძლიერესი შემადგენლობით.

ჩავთვალოთ, რომ ნავსი გატყდა?

არდადეგები რომამდე?

ლაპარაკები მალხაზ ასათიანზე: არავინ ამბობს «არა»-ს, მაგრამ...

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ ლიდერ მალხაზ ასათიანს იტალიური „რომა“ ეპატიჟება — ცნობა, რომელიც გუშინ შევიტყვეთ, ჯერჯერობით დაუდასტურებელია, თუმცა...

ასათიანს „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი გაისად უმთავრდება და ჯერჯერობით კლუბი და ფეხბურთელი ხელშეკრულების გაგრძელებაზე არ შეთანხმებულან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ რკინიგზელები ჩვენებურს შეელევიან და ფულსაც გამორჩებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონტრაქტი დამთავრდება და ასათიანი თავისუფალი აგენტი გახდება.

ამ საფეხბურთო-სატრანსფერო ანა-ბანას გათვალისწინებით, ცნობა „რომას“ ინტერესის თაობაზე რეალობასთან ახლოა, მით უმეტეს, გუშინ, როცა ამ იტალიური კლუბის ოფისში დავრეკეთ, ისეთი პასუხი მივიღეთ, არც მწვადი დაგვიწვეს და არც შამფური...

— ვერაფერს გეტყვით. ამ და, საერთოდ, ნებისმიერი სავარაუდო ტრანსფერის თაობაზე კომენტარს ვერ გავაკეთებთ.

მოკლედ, იტალიელთა პასუხი არც „ჰოა“ და არც „არა“.

საინტერესოა „ლოკომოტივის“ პოზიციაც. კლუბის პრეზიდენტ ვალერი ფილატოვთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, „ლოკომოტივის“ სპორტულ დირექტორ *ვლადიმირ კოროტკოვს* კი შევეხმიანეთ, მაგრამ გადაჭრით ვერც მან გვითხრა ვერაფერი:

— ამის თაობაზე არაფერი ვიცი. ეს ჩემს მოვალეობებში არ შედის. უმჯობესია, ჰასან ბიჯიევს დაუკავშირდეთ.

ჰასან ბიჯიევი „ლოკომოტივის“ სატრანსფერო საქმეებს განაგებს და, წესით, თუ ვინმეს გადასვლაზეა ლაპარაკი, გარიგების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ ის არის ხოლმე, მაგრამ ასათიან-„რომას“ შესაძლო კავშირი მისთვისაც „უცხო“ გამოდგა:

— ასეთი რამ არ გამიგია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ „რომა“ ნამდვილად არ დაგვკავშირებია და, აბა, რა გითხრათ?! ფაქტია, რომ მალხაზს ჩვენთან მოქმედი კონტრაქტი აქვს.

— „რომას“ გარდა აღრე დონეცკის „შახტარის“ დაინტერესებაზეც ითქვა...

— არა მგონია, აქედან რამე გამოვიღეს სერიოზული ლაპარაკი არ ყოფილა.

— ასათიანს მალე კონტრაქტი უმთავრდება „ლოკომოტივთან“ და რას უპირებთ?

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. ასათიანი ახლა გერმანიაშია, სარეაბილიტაციო კურსს გადის და როცა ჩამოვა, ამ საკითხებზე მერე დაველაპარაკებით.

და რა ხდება სინამდვილეში? „რომას“ დაინტერესების თაობაზე ვერც თავად *მალხაზ ასათიანმა* გვითხრა რამე:

— ასეთი რამ პირველად მესმის და რა გითხრათ... თუ რამე რეალურად გამოჩნდება, ყველა გაიგებს.

მოკლედ, მტკიცებით ვერაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ... ამბობენ, ამ ტრანსფერს ზამთარში ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაის ზაფხულში წინ არაფერი დაუდგებაო...

ძახა შალამბერიძე

38 წლის ქეცბაია ფეხბურთელობაზე გაისად იფიქრებს

პატარა გუნდის მენტალიტეტი

ჯერ რა გააკეთა ტოპმიოლერმა?

იყო დრო, კვიპროსულ „ანართოსისში“ ერთბაშად ხუთი ქართველი თამაშობდა. ბოლოს „ანართოსისში“ ორი ჩვენებური იყო, მაგრამ საამსეზონოდ კლიმენტი წიტაიშვილი აელ-ში გადავიდა და „ანართოსისში“ ქართველთაგან ოდენ **თემურ ქეცბაია** დარჩა, 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი, ჩვენი ეროვნული გუნდის სული და გული.
38 წლის ქეცბაია „ანართოსისში“ მთავარმწვრთნელობის გარდა კვლავ ითავსებს ფეხბურთელობას. თემურს აქეთურიქითურზე ვესაუბრეთ...

— საზარდულის კუნთი დამეჭიმა და თვენახევარი არ მითამაშია. კვიპროსის ჩემპიონატში „ანართოსისი“ მესამე ადგილზეა და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით.

— „ანართოსისში“ რომელიმე ქართველი ფეხბურთელის მიწვევას ხომ არ აპირებთ?

— არა, არავის დამატებას არ ვაპირებთ.

— ყოფილი ანართოსისელი, გიორგი ქინქლაძე მალე უგუნდოდ დარჩება, რადგან ყაზანის „რუბინთან“ მისი კონტრაქტი არ გაგრძელდება — არ გაქვთ სურვილი, ხელმეორედ მიიწვიოთ ქინქლაძე?

— ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. რაც შეეხება ჩემს სურვილს, ამაზე საუბარი ნაადრევი მგონია.

— თავად რამდენ ხანს აპირებთ კიდევ თამაშს?

— ამ სეზონში თამაშს კიდევ ვაპირებ, ხოლო ეს სეზონი რომ დამთავრდება, მერე ვნახოთ... ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, ტრავმებს ავცდები თუ არა.

— როგორც მწვრთნელს, „ანართოსისთან“ რა ვადიანი კონტრაქტი გაკავშირებთ?

— „ანართოსისში“ კიდევ სამი წელი უნდა ვიმუშავო.

— ალბათ კვიპროსიდან თვალს ადევნებთ ჩვენი ნაკრების თამაშს — როგორია თემურ ქეცბაიას შთაბეჭდილებები?

— ძალიან ძნელია, საქართველოს ნაკრებს ასეთი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე გასვლა მოსთხოვო. საფრანგეთთან პირველივე ტაიმში გადაწყვეტილი იყო ყველაფერი, უკრაინიდან ქულის წამოღება შეიძლებოდა, იტალიასთან კი საქართველოს ნაკრებმა მართლაც ძალიან კარგად ითამაშა და წარმატების მიღწევაც შეიძლებოდა, რომ არა გაძევება, რის გამოც გუნდი კაცნაკლული დარჩა.

— საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ყოფილმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა გვითხრა, თქვენი ნაკრების წარუმატებლობები ყველაზე მეტად იმის ბრალია, რომ გუნდს ოპტიმიზმი აკლია — ეთანხმები ასეთ შეხედულებას?

— ქართველებს გვინდოდა და გვინდა, რომ ჩვენი ფეხბურთი მაღალ დონეზე ყოფილიყო, არადა, წარმატებებს ნორმალური ქვეყნების გუნდებიც ვერ აღწევენ ხოლმე. როცა მე ვთამაშობდი ნაკრებში, მაშინ მართლაც კარგი ფეხბურთელები გვყავდა, მაგრამ ძალიან ძნელ პერიოდში მოგვიწია ნაკრებში თამაშმა. რაც შეეხება ოპტიმიზმს, როცა მინდორზე დარბიხარ, ესე იგი, თამაში გინდა. ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და, მგონი, მაშინაც და ახლაც ნაკრების ყველა ფეხბურთელი ასე ფიქრობდა და ფიქრობს.

— 90-იანი წლების საქართველოს ნაკრების ერთმა ფეხბურთელმა კერძო საუბარში მითხრა, მაშინ ჩვენი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი რომ ყოფილიყო, გაციელებით უკეთესი შედეგი გვექნებოდაო...

— ჯერ რა გააკეთა ტოპმიოლერმა ისეთი, რომ ეს ვთქვაო?! მანამდე ყველაფერი მწვრთნელების ბრალი იყო, ასე არ ვიტყოდი. წარუმატებლობებში მწვრთნელებსაც მიუძღვით ბრალი, მაგრამ მოედანზე ჩვენ გავდიოდით და ვთამაშობდით. წარუმატებლობების ვინმეზე გადაბრალება არაფერს მოგვცემს. ჩვენ ცუდი მენტალიტეტი გვქონდა — წავაგეთ, მაგრამ კარგად ვითამაშეთ — ეს პატარა გუნდის მენტალიტეტია. კმაყოფილი მხოლოდ შედეგით უნდა ვიყოთ.

— როგორც უნდა იყოს, მაშინ კვალიფიციური მწვრთნელის საკითხი საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან აქტუალური იყო, ახლა კი გუნდისთვის მაღალი დონის ფეხბურთელების საკითხია აქტუალური...

— 90-იან წლებში ჩვენს ნაკრებში საბჭოთა დროებიდან გამოყოლილი ფეხბურთელები თამაშობდნენ, პირველი ორი ეროვნული ჩემპიონატიც კარგი დონის იყო, რადგან მასში საბჭოთა კავშირის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდები თამაშობდნენ. ახლა კი უმეტეს ქართულ კლუბებს არც ბაზა აქვთ, არც მოედანი და არც ფული — როგორ უნდა გაიზარდოს ასეთ პირობებში მაღალი დონის ფეხბურთელი? ნიჭიერი ფეხბურთელები ისევ მოდიან, მაგრამ მათ სათანადო პირობებიც უნდა ჰქონდეთ მაღალ დონემდე მისაღწევად.

დავით თავართქილაძე

ხმა აკვნიდან: ჩვენ ვიზრდებით

ფოთში ფეხბურთი არ მომკვდარა, ქალაქს გუნდი ჰყავს და ხალხი ისევ დადის სტადიონზე. არადა, ფოთის „კოლხეთი“ ზაფხულში გამოვიგლოვეთ, ქართული ფეხბურთის აკვანქალაქი უმაღლესი ლიგის გარეშე დარჩა და ნაღდად არ გვეგონა, საქმე წაღმა ასე მალე თუ მოტრიალდებოდა...

საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი ფოთი“ ახალი დარეგისტრირებულია და რეგიონალლიგაში თამაშობს, რაც კლუბის პრეზიდენტ თემურ ბარქაიას დამსახურებაა — იგი ახალგაზრდა ბიზნესმენი, „თი ენდ აი კომპანის“ გენერალური დირექტორი და ფირმა „ევრაზია შეპინგის“ მენეჯერია. ბარქაია დღესდღეობით ფოთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია. მოკლედ, რა ხდება ფოთში — ამაზე თავად თემურ ბარძაია გვესაუბრება...

თემურ ბარქაია: ფოთში ფეხბურთი რეანიმაციიდან გამოვიდა

— „კოლხეთი 1913“ აღარ არსებობს და ახლიდან დარეგისტრირდა შპს საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი ფოთი“. ამ ზაფხულს ქალაქი უფეხბურთოდ დარჩა და ყველაფრის ნულიდან დაწყება მოგვიხდა. ბუნებრივია, დავიწყეთ რეგიონალლიგიდან და სამწლიანი პროგრამა გვაქვს, რომლის მიხედვით ჯერ პირველ ლიგაში, მერე კი უმაღლესში უნდა გადავიდეთ. ეს არის ჩვენი პროგრამა-მაქსიმუმიც და მინიმუმიც.

— როგორი პირობებია კლუბში?

— „კოლხეთი ფოთს“ აქვს შეკრებები, დროული კვება და მინდა ვთქვა, რომ ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. მალე გერმანიიდან ავტობუსს ჩამოვიყვანთ. „ფაზისის“ სტადიონზე ვთამაშობთ და ამისთვის მადლობას ვუხდით ქალაქის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელ ზურაბ ტიბუას. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ ფოთში ფეხბურთი არ მომკვდარა, შეიძლება ითქვას, რეანიმაციიდან გამოვიდა.

— ვინ წვრთნის გუნდს? ალბათ, ადგილობრივი ახალგაზრდა ფეხბურთელებით გადიხართ ფონს...

— ახალგაზრდა მწვრთნელები არიან: ზაზა ინიაშვილი, ნუგზარ თვარაძე და მამუკა გვასალია. გუნდის ექიმი თემურ შერაზადაშვილია, რომელსაც ნაკრებშიც უმუშავია. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, გუნდში ყველაზე უფროსი 22 წლისაა. ძირითადად, 17-18 წლის ბიჭები გვყავს, სულ ფოთელები. ეს მოთამაშეები ფოთის 98-ე საფეხბურთო სკოლიდან მოდიან. სკოლა ადრე დაიშალა და ჭაბუკები უკვე სამუშაოს ეძებდნენ, მაგრამ ფეხბურთისკენ მოვაბრუნეთ. ძირითად შემადგენლობაში 1990 წელს დაბადებული ექვსი ბიჭი გვყავს.

— ამ ბიჭებზე გინდათ, გააკეთოთ აქცენტი თუ გაძლიერებას აპირებთ?

— დალაგებულად, ეტაპობრივად უნდა წავიწიოთ წინ. ფოთელ ფეხბურთელებთან, რომლებიც „კოლხეთის“ დაშლის შემდეგ სხვა გუნდებში გადავიდნენ, მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ამ ზამთარსვე გვინდა მათი დამატება, ოღონდ, რა თქმა უნდა, თუ მათი კონტრაქტები მოგვცემს ამის საშუალებას.

— კლუბში სერიოზული სპონსორის მოსვლაზე არ არის ლაპარაკი?

— მოლაპარაკებები გვაქვს უცხოელებთან და ვიცი, მათგანაც სერიოზული დაინტერესებაა, მაგრამ საამისოდ ამ სეზონშივე აუცილებლად უნდა გადავიდეთ პირველ ლიგაში. ფოთშიც არიან ბიზნესმენები, რომლებიც გუნდის დაფინანსებაზე თანახმანი იქნებიან. დიდი იმედი მაქვს ფოთის მთავრობის, საკრებულოში ახალგაზრდა ხალხი მოვიდა დავით შურღაიას ხელმძღვანელობით და ისინიც გვერდით დაგვიდგებიან.

...ჩვენ სუფთა ხელებით ვმუშაობთ და როდესაც საქმეს გულით აკეთებ, შედეგს მიიღებ. რეგიონალლიგელ კლუბს ისეთი პირობები აქვს, ბევრ უმაღლესლიგელს რომ არ აქვს. ამასთან, მე მაქვს კავშირები ჩემს ბულგარელ პარტნიორებთან და, შესაძლოა, სოფიის „სლავიაში“ ორი ჩვენი ფეხბურთელი გასასინჯად მივავლინოთ.

— 2008-09 წლების სეზონიდან კლუბების ლიცენზირება აუცილებელი გახდება. ეს არ ეხება რეგიონალლიგის კლუბებს, მაგრამ უმაღლესში გადასვლა გსურთ და მუშაობა ხომ არ დაგიწყიათ ლიცენზირებაზე?

— იანვარში აუცილებლად დავიწყებთ ამ საკითხზე მუშაობას. ჩვენ გვყავს იურისტი, რომელიც ამ საქმეს შეუდგება. მინდა, ვთქვა, რომ ჩვენთან სხვა მიდგომაა, ჰაიჰარად და უგულოდ არაფერი კეთდება. ამხელა ფულს წყალში არ ვყრით, ფოთში ფეხბურთი უნდა იყოს და იქნება კიდეც — დარწმუნებით გეტყვით, დავით კუპრეიშვილის შემდეგ „კოლხეთის“ არც ერთ ხელმძღვანელს თავისი ჯიბიდან ერთი თეთრი არ მოუხმარებია კლუბისთვის. როცა ხარჯავ, ბუნებრივია, წინ იხედები. იმ პერიოდში, როცა „კოლხეთი“ დაიშალა, მე არ მქონდა სახსრები, თორემ კლუბს გადავარჩენდით.

...რეგიონალლიგაში ჩვენი უმთავრესი კონკურენტი ხობის „კოლხეთია“, თუმც ჩვენც ლიდერებში ვართ, სულ ხუთი ქულაა სხვაობა და აუცილებლად უნდა გადავიდეთ პირველ ლიგაში. ასე რომ, ხმები, ფოთში ფეხბურთი დასამარდაო, ტყუილია.

ილია ნანობაშვილი

როცა ფეხბურთი ბიზნესია, ბიზნესი ფეხბურთშია

ოღონდ არა საქართველოში

ქართველ გულშემატკივარს დიდი ფეხბურთისა და დიდი კლუბების ნახვა ლამის ნატვრად გადაექცა. უკვე რამდენი წელია, ერთიორი უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ქართული კლუბები სახელიან გუნდებს აღარ შეხვედრიან. თუმც ამ ეტაპზე ეს, შესაძლოა, მისაღებიც იყოს, რადგან ქართული გუნდები ევროპის საშუალო და უფრო დაბალი დონის კლუბებთან ჭამენ სირცხვილს და გრანდებთან შეხვედრებში...

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუამდე ქართული ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის „დინამო“ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლებოდა. სისტემატურად თამაშობდა ევროპის საკლუბო ტურნირებზე, 1981 წელი კი დღესაც დაუვიწყარ მოგონებად რჩება.

მას შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ქართულ გუნდებს ევროპაში თავის გამოჩენა, რბილად რომ ვთქვათ, უჭირთ. მაქსიმუმ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) უკვე მიღწევად ითვლება. ეს მაშინ, როცა თავის დროზე „დინამოს“ თანასწორი ჰოსტსაბჭოური კლუბები თითქმის ყოველ წელს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაშობენ. მოსკოვის ცეესკამ კი წინა სეზონში სულაც უეფას თასის აღება მოახერხა.

რინატ ახმეტოვი, იგორ სურკისი, სერგეი ტარუტა, იგორ კოლომოისკი, ალექსანდრ იარონსლავსკი... ეს პიროვნებები უკრაინის ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეულში შედიან და, ამასთან, უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბების მფლობელები არიან. მათი მიზანი მხოლოდ ფეხბურთით ფულის შოვნა არ არის. სახელიანი კლუბები რომ ჰყავთ, მათი იმიჯი ბიზნესშიც გაცილებით მეტად ფასობს. შეიძლება ითქვას, ზოგიერთ მათგანს კლუბებიდან მოგება არც აინტერესებს — პირიქით, იქით იხდის ფულს, რათა კონკურენტების თვალში იმიჯი აიმაღლოს.

ჩვენში ყველაფერი პირიქითაა — კლუბის ზოგიერთი მეპატრონე ფეხბურთში ფულის სწრაფად საკეთებლად მოდის. 17-18 წლის ფეხბურთელის პატარა პოტენციალი და მეპატრონე მზადაა, მისით მილიონების შოვნა მოინდომოს.

ნუთუ საქართველოში არ მოიძებნება ახმეტოვის, სურკისის თუ ტარუტას მსგავსი ბიზნესმენები, რომლებიც შეძლებენ ძველი სახელი დაუბრუნონ ქართულ ფეხბურთს?!

მიხეილ ჟორჟოლიანი

გიგიაძე და ხიმკი: ხომ კი?

ვასილ გიგიაძისთვის უკრაინის მიმდინარე ჩემპიონატი ერთ-ერთი საუკეთესოა კარიერაში. გიგიაძე 7 გოლით საუკეთესო ბომბარდირია, თუმცა ქართველ ფეხბურთელს, შესაძლოა, უკრაინაში ბომბარდირობა არ „დასცალდეს“ — მისი კარგი თამაში რუსეთშიც შეამჩნიეს. კერძოდ, რუსულ პრემიერლიგაში აღზევებული „ხიმკი“ მის გადაბირებას ცდილობს...

„ვიცი, რომ საუბარი რომელიღაც რუსულ კლუბზეა, კონკრეტულად გუნდის სახელი კი არ ვიცი. წინა ტურში დამკვირვებლები უნდა ჩამოსულიყვნენ, რომლებსაც საქმეში უნდა ვენახე, მაგრამ მათი ჩამოსვლა ერთი კვირით გადაიდო. რუსები მომდევნო ტურისთვის აპირებენ ჩამოსვლას და ყველაფერი მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა. ჩემი გადაყვანა კი სურთ, მაგრამ ჯერ არც გუნდი ვიცი და არც მათი პირობები, ამიტომ ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია ჩემი რუსეთში გადასვლა. ისე, როგორც ჩემმა აგენტმა მითხრა, მათი დაინტერესება საკმაოდ სერიოზულია. ვნახოთ, ჩემი აზრით, ყველაფერი პირველი წრის დასრულებამდე უნდა გადაწყდეს“ — გვითხრა გუშინ ვასილ გიგიაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

ლიტვის ტაში მალტაში

საქართველოს ნაკრების მსგავსად უეფას კალენდარში გეგმით არსებული ფანჯრით ევროპის 2008 წლის შესარჩევი ეტაპის ჩვენმა მეტოქეებმაც ისარგებლეს და ამხანაგური შეხვედრები გამართეს. ლიტვის ნაკრებმა სპარინგ-პარტნიორად მალტის ეროვნული გუნდი ირჩია და გუშინ კუნძულს ეწვია.

ამ შეხვედრისთვის ბალტიისპირელებმა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს, თუმცა ლიტველებს ედგარას იანკაუსკასის, დევიდას შემბერასის, რობერტას პოშკუსის და ედგარას ჩესნაუსკისის არყოფნა დიდად არ დასტყობიათ. სტუმრებმა პირწმინდად დაჩაგრეს მასპინძლები. ლიტველები მთელი შეხვედრის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას და ეს შედეგზეც აისახა — 4:1. წამყვანი ფეხბურთელების არყოფნაში ლიდერობა იტალიური „ლივორნოს“ თავდამსხმელმა ტომას დანილევიჩუსმა შეითავსა, რომელმაც ორი გოლი გაუტანა მასპინძლებს, თითოჯერ მათი დამწუხრება ჩეხეთის „კლადნოს“ თავდამსხმელმა ტომას რაძინიავიჩუსმა და შეცვლაზე შესულმა „ეკრანასის“ ნახევარმცველმა ვიტალიუს კავალიაუსკასმა მოახერხეს.

ლიტვის ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: *გრიბაუსკასი, სტანკევიჩუსი, სკერლა, ჯიაუკშტასი, პაულაუსკასი, ბარასა, მიცეიკა, კალონასი, მორინასი, რაძინევიჩუსი, დანილევიჩუსი.*

მიხეილ ჟორჟოლიანი



ჯიჯი, შენთან ბოდიში, მაგრამ... ოქროს ბურთი კანავაროს?

საფრანგეთში გავრცელებული ჭორების თანახმად, „ოქროს ბურთს“ იტალიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მცველი ფაბიო კანავარო მოიგებს. შეგახსენებთ, რომ ამ პრესტიჟული ჯილდოს გამარჯვებულის ვინაობას „ფრანს ფუტბოლი“ 27 ნოემბერს დაასახელებს.

„შესაძლებელი რომ იყოს, ორ „ოქროს ბურთს“ გავცემდი. ერთს საკუთარ თავს მივცემდი, მეორეს კი — ჯანლუიჯი ბუფონს. ჯიჯისთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ერთმანეთს პატივს ვცემთ, მაგრამ, ცხადია, ძალიან გამიხარდება, რომ ეს ჯილდო მე მოვიპოვო. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რასაც ამ წელს მივაღწიე ნებისმიერ შემთხვევაში, იმედია, „ოქროს ბურთს“ რომელიმე იტალიელი ფეხბურთელი მოიპოვებს. ეს ჩვენი ფეხბურთის მორიგი წარმატება და წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება“ — თქვა 33 წლის კანავარომ.

შეგახსენებთ, რომ აქამდე იტალიური პრესა გვაუწყებდა, „ოქროს ბურთს“ ბუფონი მოიგებსო, თუმცა მასსა და კანავაროს გარდა, რეალური კანდიდატი კიდევ ერთია — საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ფორვარდი ტიერი ანრი.

ჯანლუიჯი ბუფონი: „მგონი, პრესა უფრო მეტს ფიქრობს ამ ჯილდოზე, ვიდრე მე. ვარაუდები არ მიყვარს, ამიტომ ამაზე ძალიან გამიხარდება, თუ „ოქროს ბურთს“ მოვიგებ.“

ბოლოს მცველმა „ოქროს ბურთი“ 1996 წელს მოიგო, რაც მათიას ზამერმა შეძლო. კანავაროს აქვს შანსი, ეს ათწლიანი პაუზა შეწყვიტოს. ბუფონის გამარჯვების შემთხვევაში კი იგი გახდება მეორე მეკარე ისტორიაში, ვინც ამ პრესტიჟულ ჯილდოს მოიგებს — 1963 წელს ლეგენდარული ლევ იაშინი აღიარეს საუკეთესოდ. იტალიელ ფეხბურთელს კი „ოქროს ბურთი“ 1993 წლის ანუ რობერტო ბაჯოს მერე არ მოუგია. მოგეხსენებათ, კანდიდატთა შორის კიდევ 5 აპენინელია — ფაბიო გროსო, ჯანლუკა ძამბროტა, ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო და ლუკა ტონი.

იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი: „ყველა კანდიდატი ბრწყინვალე ფეხბურთელია და მათ შორის არიან ბუფონი და კანავაროც. იმედია, „ოქროს ბურთს“ ერთ-ერთი მათგანი მოიპოვებს. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეს ჩვენი ფეხბურთის მორიგი დიდი გამარჯვება იქნება. საერთოდ, ამ ჯილდოს გადაცემისას მუნდიალზე მიღწეულ წარმატებას დიდი ყურადღება ექცევა. წესით, ახლაც ასე უნდა იყოს.“

გიორგი ძაძაბაძე

უნდა და... ვალენსიამ, ლიპიო

ესპანური „ვალენსია“ უკვე მომავალი სეზონისთვის აწყობს გეგმებს. „ღამურებს“ გასული მუნდიალის მომგები მწვრთნელის მარჩელო ლიპისა და „სკუადრა აძურას“ მეკარის ჯანლუიჯი ბუფონის ხელში ჩაგდება განუზრახავთ. ამის თაობაზე „ვალენსიას“ იტალიელმა სპორტულმა დირექტორმა ამადეო კარბონიმ განაცხადა.

„ვალენსიას“ ჩემპიონთა ლიგაში საქმე კარგად მისდის. პრიმერადივიზიონში კი ჯერჯერობით მეექვსეა და ლიდერთან ხუთი ქულა აშორებს. კლუბის ხელმძღვანელობა კიკე სანჩეს ფლორესის მუშაობით კმაყოფილია, მაგრამ თუ მწვრთნელობაზე ლიპი დაიყოლია...

რაც შეეხება ბუფონს, მან შეიძლება, ამ სეზონის ბოლოს „იუვენტუსი“ დატოვოს და „ვალენსია“ ვეტერანი სანტიაგო კანისარესის შემცვლელად უკეთეს კანდიდატურას ნამდვილად ვერ იპოვის.

ვახსენოთ ისიც, რომ ცოტა ხნის წინ გავრცელდა ჭორები, „იუვენტუსი“ „ვალენსიას“ მთავარმეგოლის დავიდ ვილიას ყიდვა უნდაო, რაზეც „მესტალიას“ ბინადართა პასუხმა არ დაახანა.

ამადეო კარბონი: „ვილიას შესახებ არანაირი წინადადება არ მიგვიღია და რომც ყოფილიყო, არ განვიხილავდით. დავიდი არ იყიდება.“

„ჩემი კლიენტი „ვალენსიაში“ თავს ჩინებულად გრძნობს და არსად წასვლა არ უნდა. მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ დაწყებული საუბრები უსაფუძვლოა“ — განაცხადა ვილიას აგენტმა ხოსე ლუის ტამარგომ.

კოკი კანდელაკი

ულტიმატუმი ანჩელოტის

კრიზისულმა მილანმა კარლოს ლიგა დაკარგა

„მილანი“ კრიზისშია, ამას უკვე კლუბის ხელმძღვანელები და ფეხბურთელებიც აღიარებენ. მათ სჯერათ, რომ ვითარება მალე გამოსწორდება, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სერია A-ს პირველ 11 ტურში „როსონერიმ“ 4 მატჩი წააგო, რაც ამ გუნდისთვის ნამდვილად ზედმეტია. ამას კალჩოპოლისგან შემორჩენილი მინუს რვა ქულაც დავუმატოთ და შედეგად „მილანი“ ბოლოდან მეხუთეა, ლიდერებს 20 ქულით ჩამორჩება და სკუდეტოსთვის რომ ვეღარ იბრძოლებს, თავადაც კარგად იცის. ეს კი არა, თუ ასე გაგრძელდა, „შავ-წითლებს“ ოთხეულში მოხვედრაც სათუო გაუხდებათ. კარლო ანჩელოტის მოხსნაზე სულ უფრო და უფრო საუბრობენ. ბუნებრივია, ეს ყველაფერი კლუბში დაძაბულობას იწვევს და ისიც კი ითქვა, დანიელე ბონერამ და იოან გურკუფმა ვარჯიშზე იჩხუბესო. „სან სიროს“ ბინადრები კვლავ გაძლიერებაზე ფიქრობენ და სასურველ კანდიდატებს არჩევენ

აპენინური პრესის ცნობით, „მილანმა“ კარლო ანჩელოტის ულტიმატუმი წაუყენა, თუ გუნდი მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, პოსტს დატოვებო. თუმცა ოფიციალურად ეს ჯერ არ დასტურდება. „როსენერის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ და ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადეს, ანჩელოტის ვენდობით და გვჯერა, ვითარებას გამოასწორებსო.

ანჩელოტის „მილანთან“ კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს, თუმც ამბობენ, ეს მისი ბოლო სეზონიაო. მის სავარაუდო შემცვლელად ფრანკ რაიკარდი, მარკო ვან ბასტენი, ლუჩანო სპალეტი და მარჩელო ლიპი სახელდებიან.

ლიპიმ საკუთარი კანდიდატურა მყისვე გამორიცხა: „წინა კვირაში ამბობდნენ, რომ „ნაპოლიში“ მივდიოდი. მერე ესპანეთისა და მექსიკის ნაკრებებზე იყო საუბარი, ახლა კი „მილანზე“ გავრცელდა ჭორები. ეს ყველაფერი სიმართლეს არ შეესაბამება. ფეხბურთში დაბრუნებას მომავალ ზაფხულს ვაპირებ, მაგრამ რომელი გუნდის მწვრთნელი ვიქნები, ჯერ არ ვიცი“.

„ახლა განსაკუთრებულ სიტუაციაში ვართ და რაც ამ სეზონში ჯერჯერობით გავაკეთეთ, საკმარისი ნამდვილად არ არის. უფრო მეტად, ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და სწორედ ეს ვუთხარი ფეხბურთელებს „რომასთან“ წაგებული მატჩის მერე. ძალიან ბევრ შეცდომებს ვუშვებთ და ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. რთულ ვითარებაში ადრეც არაერთხელ ყოფილვართ და დაგვიძლევია კიდეც პრობლემები. ასე მოვიქცევით ამჯერადაც. მთავარია, დაცვაში გამოვასწოროთ თამაში. სეზონის დასაწყისში ჩვენი უკანა ხაზი ჩინებულად გამოიყურებოდა, მაგრამ ბოლო მატჩებში კონცენტრაცია დავკარგეთ“ — თქვა თავად ანჩელოტიმ.

ცნობილმა იტალიურმა გაზეთმა „კორიერე დელო სპორტმა“ დაწერა, ბონერა „მილანის“ ერთ-ერთი ვარჯიშისას გურკუფს ფეხებში ძალიან უხეშად ჩაუვარდა, რამაც მათ შორის ჩხუბი გამოიწვია. ისიც კი ითქვა, 20 წლის ფრანგი უკვე სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობსო.

„ვიღაცას უნდა, პრობლემები შეგვიქმნას. არადა, ახლა ჩვენი პრობლემებიც გვეყოფა. ჩემი და იოანის ჩხუბის ამბავი მოგონილია, მასთან ბრწყინვალე ურთიერთობა მაქვს. ჩვენ ერთმანეთის მეზობლად ვცხოვრობთ და მალე ვარჯიშზე ერთად სიარულს დავიწყებთ. ამ ჭორებზე გაგვეცინა კიდეც. მეტიც, გაზეთში ეწერა, რომ ჩხუბი ჩემს ჩავარდნას მოჰყვა, მაგრამ ასეთი ეპიზოდი იმ დღეს საერთოდ არ ყოფილა და რომც ყოფილიყო, ეს ფეხბურთის ნაწილია, ამის გამო არ ვიჩხუბებდით“ — აღნიშნა ბონერამ.

იოან გურკუფი: „ბონერასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, ისევე როგორც დანარჩენ თანაგუნდელებთან. წაკითხულმა ამბავმა ძალიან გამაკვირვა. ბედნიერი ვარ, რომ „მილანში“ ვთამაშობ და მინდა, კლუბის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ვიქცე. ასეთი რამეს საფრანგეთში არ დაწერდნენ. როგორც ჩანს, იტალიურ პრესას უნდა შევეჩვიო. გუნდში ბრწყინვალე ატმოსფეროა. მართალია, სასურველ შედეგებს ჯერ ვერ ვაღწევთ, მაგრამ ეს გამოსწორდება. კარგია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ მიდის“.

„მილანის“ ვეტერანი მცველი მარკოს კაფუ კი მიიჩნევს, რომ „როსონერი“ კრიზისში სულაც არ არის და ორი-სამი მოგება ვითარებას უმალვე გამოასწორებს.

„წაგება ყოველთვის რთული აღსაქმელი და შესაგუებელია, მაგრამ ბოლოდროინდელი წარუმატებლობები უნდა დავივიწყოთ, რათა ეს ცუდი პერიოდი უკან მოვიტოვოთ. დამიჯერეთ, ზედიზედ ორი-სამი მოგება სწორ გზაზე დაგვაყენებს და საკუთარი თავის რწმენას დაგვიბრუნებს. ამჟამად ცუდად არ ვთამაშობთ, მაგრამ ქულებს ვერ ვაგროვებთ. ცოტა იღბალიც გვჭირდება“ — განაცხადა 36 წლის ბრაზილიელმა.

სწორედ კაფუს შემცვლელად უნდა „მილანს“ მასიმო ოდო, ვისაც დიდი ხანია, უტრიალებს, მაგრამ ჯერ ხელში ვერაფრით ჩაიგდო. ამბობენ, „როსონერი“ მის შეძენას იანვარში კიდევ ერთხელ ეცდებაო, მაგრამ თავად 30 წლის ფეხბურთელი „ბიანკონერელესტის“ დატოვებას არ აპირებს.

„აქ დარჩენა მინდა, მაგრამ კონტრაქტის გახანგძლივება კლუბმა უნდა შემომთავაზოს და არა მე. რომში ცხოვრება მომწონს და ჩემი გუნდიც მიყვარს. ბოლო ოთხი წელია, ჩემ სახელს სულ რომელიმე გრანდს უკავშირებენ, მათ შორის „მილანსაც“ და ამან უკვე დამღალა“ — თქვა დედაქალაქელთა კაპიტანმა.

„ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო“. „ოდო არ იყიდება. იგი ჩვენი კაპიტანია და არსად გავუშვებთ“.

გიორგი ძაძაბაძე

ლაჩარი

რიისე რეინამ გააცეცხლა

აი, უცნაური ამბავი: იონ არნე რიისე თავისი გუნდის მეკარეს, ჰეპე რეინას საჯაროდ თავს ესხმის, როგორ თქვა, „ლივერპული“ ჩემპიონი ვეღარ გახდება, ლაჩარი ყოფილაო.

არადა, რაც მართალია, მართალია, ბოლო ტურში „არსენალთან“ დამარცხების შემდეგ ლივერპულელთა პირველმა ნომერმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ჩემპიონობას ვეღარ შეძლებს და ყველაზე მეტი, რისი იმედიც უნდა ჰქონდეს, ოთხეულში შესვლა ანუ ჩემპიონთა ლიგის შემდგომ გათამაშებაში ადგილის დაბევებაა.

26 წლის მარცხენა მცველი რიისეც სწორედ ამ განცხადებამ გააცეცხლა. ნორვეგიელმა თქვა:

„ჩვენ არასოდეს ვნებდებით, დანებება ლაჩრების თვისებაა. კვირას, „არსენალთან“ დამარცხების შემდეგ გასახდელში რაფა მშვიდად იყო, მაგრამ თავადაც კარგად იცოდა და თითოეულ ჩვენგანსაც კარგად მოგვეხსენებოდა, რომ ის, რაც მოედანზე მოხდა, ძალიან ცუდი იყო. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ ვთამაშობთ სტუმრად ასე ცუდად. ბუნებრივია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ დაწევა იოლი საქმე არ იქნება, მაგრამ ნება მიბოძეთ, შარშანდელი სეზონი შეგახსენოთ, როდესაც „ჩელსის“ გვარიანად ჩამოვრჩებოდით, მაისში კი ჩვენ შორის სხვაობა მხოლოდ 9 ქულა იყო“.

„არსენალთან“ ზემოხსენებულ შეხვედრაში „ლივერპულმა“ 0:3 წააგო და შედეგად, პრემიერლიგის ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამწუთას 14 ქულით ჩამორჩება.

რაც შეეხება რიისეს მიერ ლაჩრად მოხსენებულ რეინას, ეს მეკარე ინგლისში 2005 წელს 6 მილიონ გირვანქად „ვილიარეალიდან“ გადაბარგდა და ესპანეთის ნაკრებში გამოძახებაც არ არის მისთვის უცხო, თუმცა ეროვნულ გუნდში იკერ კასილიასთან კონკურენციას ვერაფრით ართმევს თავს.

ამასობაში კი, ზემოხსენებულმა რაფა ბენიტესმა, რომელსაც „არსენალთან“ მარცხის შემდეგ გასახდელში სიმშვიდე შეუნარჩუნებია და, რომელზეც ამბობენ, რომ „ლივერპულში“ დიდხანს გამჩერებელი აღარ არის, თავის ავსტრალიელ ქვეშევრდომზე, ჰარი კიუელზე თქვა, რომ ამ ფეხბურთელს მის გუნდში ჯერ კიდევ აქვს მომავალი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ კიუელი შესაძლოა, კიდევ სამი თვის განმავლობაში არ იყოს ფორმაში.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის კიუელმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას ფეხის თითი მოიტეხა და მას მერე მოედანზე არ ყოფილა. სამშობლოში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ კიუელი ამ დღეებში ინგლისში დაბრუნდა.

„ერთი სული მაქვს, როდს დავბრუნდები საქმეში — უთხრა ფეხბურთელმა ჟურნალისტებს — ვიცი, მომავალში ადრინდელზე ძლიერი ვიქნები და დიდი სიმაღლეების დაპყრობა მელის“.

„ტრავმის კოშმარი დასრულდა. ჩვენთვის ჰარი კიუელის დაბრუნება, ახალი ფეხბურთელის შემატებასავითაა“ — დასძინა ბენიტესმა.

პაპუნა კედია

აბრამოვიჩის შტუკა: ნტუკა



„ჩელსის“ სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელის დამატება სურს, მას ჯეფრი ნტუკა ჰქვია. როგორც ბრიტანული ტაბლოიდები გვამცნობენ, „ლურჯების“ მწვრთნელი ჟოზე მაურინიუ 21 წლის ნახევარმცველს „სტემფორდ ბრიჯზე“ იანვარში მიიწვევს, როგორც კი სატრანსფერო სეზონი გაიხსნება.

უფრო ზუსტად, ლონდონელებმა ნტუკა, თურმე ჯერ კიდევ 2004 წელს დაიბევეს. კონტრაქტი გაუფორმეს, ოღონდ მერე ბელგიურ „ვესტერლოს“ ათხოვეს, რათა იქ ევროპულ სტილს შეგუებოდა. აღსანიშნავია, რომ ნტუკა „ვესტერლოში“ სეზონის ბოლომდე უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ინგლისელმა ჟურნალისტებმა შეიტყვეს, რომ ფეხბურთელი ამ დღეებში მაურინიუს ასისტენტს, სტივ კლარკს შეხვედრია და მათ ბელგიიდან ინგლისში დაუყოვნებლივ გადასვლაზე უსაუბრიათ. ცნობისთვის: ნტუკას აგენტი გახლავთ ჯონათან ბარნეტი, რომელსაც ამჟამად საქმიანობა აკრძალული აქვს — დასჯილია.

ჯეფრი ნტუკა სამხრეთ აფრიკის ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლება და ცნობილია, რომ მის პროგრესს აფრიკის ბევრი გუნდი ადევნებს თვალს: რაც ბელგიაში გადავიდა, ნტუკამ სამხრეთ აფრიკის ნაკრებშიც მოიპოვა ადგილი და, როგორც ამბობენ, უკვე პრემიერლიგაში თამაშისთვისაც მზად არის.

პაპუნა კედია

პინგ-პონგი წვიმაში ევრა, სადა ხარ?

ფრანგი პატრის ევრა პრემიერლიგითა და ინგლისში ცხოვრებით უკმაყოფილო ყოფილა. აი, რა თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა:

„ინგლისში ცხოვრებას ვერაფრით შევეგუე. აქ გადაუღებლად წვიმს და კატასტროფული საკვებია. რაც შეეხება ფეხბურთს, საფრანგეთში ბურთს რომ მივიღებდი, თავის აწევისა და მდგომარეობაში გარკვევის დრო მქონდა, პრემიერლიგაში კი მოწინააღმდეგე გუნდის თავდამსხმელი ან ნახევარმცველი დაუყოვნებლივ მეცემა. მერედა, ჩემ მეუღლეს და ბიჭს უჭირთ ძალიან, ხოლო თუ ვარჯიში ან მატჩი არ მაქვს შინ ვზივარ, გადასაფარებელი მასხია და DVD-ს ვუყურებ“.

მაგრამ, საკითხს მეორე მხარეც აქვს, კერძოდ ის, რომ 25 წლის ევრას ყოველკვირეული ხელფასი 10 ათასი გირვანქიდან 25 ათასამდე გაიზარდა — 10 ათასს იანვრამდე „მონაკოში“ უხდიდნენ, 25 ათასს კი წვიმიან ინგლისში თამაშისთვის იღებს.

„არა უშავს, გაჭირვებას და მის დაძლევას დაჩვეული ვარ. მანჩესტერში გადმოსვლის შემდგომი ექვსი თვე ნამდვილად საშინელი მქონდა. არ ველოდი, ჩემ მეუღლესა და ვაჟსაც ასე ძალიან თუ გაუჭირდებოდა. მთელი ეს ხანი სასტუმროში ვცხოვრობდი და ინგლისურად ერთ სიტყვას ვერ ვამბობდი. მერედა, „მონაკოში“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული მქონდა, „იუნაიტედში“ კი კონკურენტები გამომიჩნდა: გაბრიელ ჰაინცე და მიკაელ სილვესტრი. ინგლისში ფიზიკურად ძლიერი თუ არ ხარ, ფეხბურთს ვერ ითამაშებ“.

აი, ასეთი განცხადებების შემდეგ პატრის ევრა ამბობს, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ დიდებული ატმოსფერო:

„დიახ, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ახალმა გუნდმა მიმიწვიოს და მეც დავთანხმდე, მაგრამ ასე მოხდება თუ ისე, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ საოცარი კლუბია და უფასს ყოველდღე მადლობას ვწირავ, აქ თამაშის საშუალება რომ მომცა. წარმოგიდგენიათ, რამდენი ადამიანი ოცნებობს „იუნაიტედში“ თამაშზე? მერედა, მანჩესტერში თამაშმა საფრანგეთის ნაკრებში დამაბრუნა, ეს კი დიდი საქმეა. გასული სანაკრებო შეკრებების დღეებში „მანჩესტერ იუნაიტედში“ დარჩენა ნამდვილი კოშმარი იყო, ორი-სამი კაცი ვიღექით და მთელი დღეები პინგ-პონგს ვეთამაშებოდით ერთმანეთს“.

პაპუნა კედია

რიდი: ჩარლტონს ჰყავს, დაუის არ აქვს



ლეს რიდი

„ჩარლტონ ატლეტიკმა“ იან დაუის თანამდებობიდან გაშვების შემდეგ ახალი მწვრთნელი იშოვა — ლეს რიდი, კაცი, რომელიც დაუის ასისტენტი გახლდათ. შეგახსენებთ, რომ დაუმ „ჩარლტონის“ შეფის სკამზე მხოლოდ 12 ტური გაძლო, ლეს რიდზე კი ხალხმა პირველი რაც თქვა, ეს იყო — იგი ალბათ, დროებითი კაცია, სანამ კლუბის ხელმძღვანელები ნამდვილ ახალ მწვრთნელს მოძებნიანო. ლონდონელთა აღმასრულებელმა შეფმა პიტერ ვერნიმ ამგვარი დამოკიდებულება კატეგორიულად დაგმო:

„მკაფიოდ ვაცხადებთ, რომ „ჩარლტონ ატლეტიკის“ მწვრთნელად ლეს რიდის დანიშვნა დროებით ნაღდად არ არის. რიდი გუნდს გაუძღვება, მის ასისტენტობას კი მარკ რობინსონი გასწევს. ერთადერთი ახალი ადამიანი ჩვენს კლუბში, შესაძლოა, სარეზერვო გუნდის თავკაცი იყოს. ლესს კი ბიჭების საბრძოლო სულისკვეთების გამოსწორება ევალება და, ვფიქრობ, უახლოესი დღეები ფრიად დატვირთული ექნება. გარდა ამისა, ბუნებრივია, ახალ მწვრთნელს დროის მცირე მონაკვეთში ვერანაირ გარანტიას ვერ მოვთხოვთ. ახლა „რედინგთან“ თამაშს შევხედავთ და მერე კონტრაქტს გავაფორმებთ“.

ხოლო იან დაუი, როგორც მოგახსენეთ, თანამდებობიდან გაუშვეს, იმავდროულად კი იგი ფრიად გასაჭირშიც გახლავთ: „მას „კრისტალ პალასის“ თავმჯდომარე საიმონ ჯორდანი სასამართლოს ძალით ებრძვის. მიზეზი: დაუი „ჩარლტონში“ „კრისტალ პალასიდან“ გადავიდა, თუმცა ეს გადასვლა მშვიდი გარიგების შედეგი არ ყოფილა. თუ ვიტყვით, რომ დაუი „პალასიდან“ გაიქცა, ვფიქრობთ, სიმართლისგან მაინცდამაინც შორს არ ვიქნებით.

ჯორდანმა ბრძანა: „მერე რა, რომ დაუი „ჩარლტონ ატლეტიკიდან“ გაუშვეს. ამის გამო მე მის წინააღმდეგ ჩივილს არათუ შევწყვეტ, არამედ მისხალ-მისხალ ჩავეძიები, ზუსტად რამდენი გადაუხადა „ჩარლტონმა“ ამ ხნის განმავლობაში. მაისში, როდესაც დაუი „კრისტალ პალასიდან“ მიდიოდა, მითხრა, რომ ჩრდილოეთში ოჯახთან განმარტოებისთვის გვემშვიდობებოდა და მეც, კომპენსაცია, რომელიც წესით კონტრაქტის ცალმხრივი შეწყვეტისთვის გვეკუთვნოდა, აღარ მოვითხოვე, შემდეგ კი შევიტყვე, რომ ჩვენგან წასულ მწვრთნელს სხვა კლუბში დაუწყია მუშაობა“.

პაპუნა კედია

ეტოოს ჩოჩია ჰოჩოჩია

გუშინწინ სამუელ ეტოო, დავიდ ვილია და მეკარე ხოსე მანუელ პინტო დააჯილდოვეს. მათ გასულ სეზონში ჩაუქობისთვის სცეს პატივი — ეტოომ პრიმერადივიზიონის ბომბარდირისთვის განკუთვნილი ჯილდო მიიღო, ვილია საუკეთესო ესპანელ მეგოლედ დასახელდა, ხოლო პინტო საუკეთესო გოლკიპერად.

ტრადიციულ „პიჩიჩის“ (მთავარმეგოლე) და „ზამორას“ (საუკეთესო მეკარე) ჯილდოებს წლეულს ახალი „ზარას“ (საუკეთესო ესპანელი მეგოლე) პრიზი დაემატა. ხსენებულ ჯილდოს სახელიც ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელის ზარაონაენდიას საპატივცემულოდაა და დავიდ ვილიასაც პრიზი მითიური მობურთალის შვილიშვილმა ლანდერ ზარაონაენდიამ გადასცა. საერთოდ კი ეს ჯილდოები ტიტულიანი ესპანური სპორტული გამოცემის, „მარკას“ დაწესებული გახლავთ.

„მარკამ“ იქაურთა სეგუნდადივიზიონის ფეხბურთელებიც გაახარა. საპატიო ჯილდოები შარშანდელ მეორელიგელ, „უელვას“ ნიგერიელ თავდამსხმელ უჩეს, „კასტილიასა“ და „სიუდად დე მურსიას“ ფორვარდებს, რობერტო სოლდადოს და ხოსე ხუან ლუკეს და ხიხონის „სპორტინგის“ მეკარე რობერტო ფერნანდესს გადაეცათ. „გურუსეტას“, ანუ საუკეთესო არბიტრის პრიზი კი ორ მსაჯს, პრიმერადივიზიონის ვიქტორ ესკინას ტორესს და სეგუნდელ ხოსე ლუის გონსალესს მიაკუთვნეს.

ეტოომ გასულ სეზონში 34 მატჩში 26 გოლი გაიატანა, ხოლო „ვალენსიას“ თავდამსხმელმა ვილიამ 37 შეხვედრაში 25 გოლი შეაგდო. ვიგოელმა პინტომ კი 36 მატჩში სულ 28 გოლი გაუშვა. „უელვას“ უჩემ მადევრებს 1 გოლით აჯობა. ნიგერიელმა 28 თამაშში 20 გოლი შეაგდო, სოლდადომ და ლუკემ კი 19-ს გატანა შეძლეს. „სპორტინგის“ გოლკიპერ ფერნანდესს 38 მატჩში მეტოქეებმა 31-ჯერ გაუტანეს.

. დაჯილდოების ცერემონიალი დათქმულზე ნახევარი საათით გვიან დაიწყო, ეტოომ და პინტომ საჰაერო რეისების პრობლემების გამო დააგვიანეს. ცერემონიალს სანაკრებო მიწვევის გამო დავიდ ვილია ვერ დაესწრო. ამიტომ „ზარას“ ჯილდო ვალენსიელის სახელით ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა ჩაიბარა. სხვადასხვა პრობლემების გამო მისვლა ვერც „სიუდადის“ ლუკემ და არბიტრმა ესკინას ტორესმა მოახერხეს.

სამაგიეროდ, გასული სეზონის პრიმერას ფიესტას „ბარსელონას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა არ მოჰკლებია. როცა ეტოო „ტროფეო პიჩიჩით“ დააჯილდოვეს, კამერუნელმა თასი სწორედ მას გადასცა.

„ამ ჯილდოს მარტო მე არ ვიმსახურებ, ეს მთლიანად „ბარსელონას“ ეკუთვნის. ხალხმა იცის, რომ „ბარსა“ ცალკეული ინდივიდუალისტების ჯგუფი კი არა ერთ მუშტად შეკრული გუნდია“ — თქვა სამუელ ეტოომ.

ლადო ხომერიკი

გერმანულმა „ლევერკუზენმა“ თავის შეეიცარიელ ლეგიონერ ტრანკვილო ბარნეტასთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. 21 წლის შემტევი ნახევარმცველით რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული, მაგრამ მან „ფარმაცევტთა“ რიგებში დარჩენა არჩია. „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელობის თქმით, მალე ახალი კონტრაქტი გუნდის მწვრთნელ მიხაელ სკიბესთანაც გაფორმდება.

ფრანგული „ბორდოს“ ახალგაზრდა და ნიჭიერმა ნახევარმცველმა რიო მავუბამ აღნიშნა, რომ „იუვენტუსში“ სიამოვნებით ითამაშებდა. 20 წლის ფეხბურთელით ტურინელთა გარდა, „არსენალი“ და „რეალიც“ ყოფილან დაინტერესებულნი.

თურქმა მწვრთნელმა ფათიჰ თერიმმა განაცხადა, რომ იტალიაში დაბრუნება სურს. „იტალია ჩემი მეორე სამშობლოა. ამ ქვეყანასთან ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებს და იქ სიამოვნებით დავბრუნდები“ — თქვა „მილანისა“ და „ფიორენტინას“ ყოფილმა თავკაცმა.

ფრანგულმა „ლიონმა“ თავის ნიჭიერ ნახევარმცველ ჰატემ ბენ აფრასთან კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. 19 წლის ფეხბურთელს 12 აგვისტოს მერე არ უთამაშია, რადგან ჯერ კიდევ მუხლის ტრავმას მკურნალობს, თუმცა „ლომების“ ხელმძღვანელობას მის შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარება.

იტალიური „იუვენტუსი“ ორი წამყვანი ფორვარდის გარეშე დარჩა: ტურინელთა ექიმების თქმით, დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს დაახლოებით სამი კვირა მოუწევთ უქმობა. მცირე ტრავმა აწუხებს მარსელო ზალაიეტასაც.

რუსული „ზენიტი“ იანვარში მაკედონიის ნაკრებისა და პოლონური „გროცლინის“ მცველ ვლადე ლაზაროვსკით გაძლიერდება. „რუსი დამკვირვებლები „ვისლასთან“ მატჩს დაესწრნენ, რომელშიც გოლიც გავიტანეკლუბმა მითხრა, რომ რუსეთის ერთ-ერთ კლუბში გადავალ, მეტი არაფერი ვიცი“ — თქვა თავად ლაზაროვსკიმ.

ინგლისური „ტოტენჰემი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ფრანგული „ლანსის“ ნახევარმცველ იოან დეიმონს უტრიალებენ. ორივე კლუბი მის იანვარშივე შეძენას გეგმავს.

შოტლანდიურ „ჰართსს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ეს ლიტველი ეუგენიუს რიავბასია, ვინც აქამდე „კაუნასს“ თავკაცობდა. ედინბურგელთა ხელმძღვანელობა მისგან კლუბის მეორე ადგილზე გაყვანას ითხოვს.

ლაპორტას ფული ჰქონია ცოტა



„ბარსელონა“ ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე უარს ჯიუტად აცხადებს. არადა, საქმე საკმაოდ რთულადაა, ხუან ლაპორტას კლუბი ტრავმიანობამ შეაწუხა. უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ სამუელ ეტოო მინდორზე გასვლას თებერვლამდე ვერ მოახერხებს. ლეო მესის გუშინ მარცხენა ფეხზე ოპერაცია გაუკეთეს და არგენტინელიც მწყობრში კარგა ხნით ვერ ჩადგება. ტრავმას ვერც „ბარსას“ სხვა მოიერიშე ხავიერ სავიოლა გადაურჩა — „სარაგოსასთან“ თამაშის შემდეგ „ბაჭია“ ფეხს იტკიებდა, ექიმებმა სასწრაფო გამოკვლევა ჩაუტარეს და ძალიან არასასურველი დიაგნოზიც დაუსვეს: ხავიერი მარცხენა ფეხის ტრავმის გამო კატალონიურ გრანდს სულ ცოტა, ოთხი კვირით ვერ დაეხმარება... გამოდის, რომ „კამპ ნოუზე“ მოიერიშეებიდან საღსალამათად მხოლოდ ლუდოვიკ ჟიული, ეიდურ გუდიონსენი და რონალდინიო დარჩნენ.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი ლაპორტა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ჯიბეზე ხელის გაკვრას არ აპირებს. „რესურსები საკმაოდ მოგვეძებნება. დარწმუნებული ვარ, ტრავმებთან დაკავშირებულ სირთულეებს ადგილობრივი ძალებითაც იოლად დავძლევთ“ — განუცხადა „კამპ ნოუს“ თავკაცმა მადრიდული „ასის“ კორესპონდენტს.

თუ სენიორ ლაპორტა ტრავმირებულების ჩანაცვლებას „ბარსა B“-დან აპირებს, შეიძლება სირთულეები ასე იოლად ვერ გადალახოს. „ბარსელონას“ მეორე გუნდი სეგუნდა B დივიზიონის მესამე ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერია და ტესერადივიზიონში გავარდნა ემუქრება. იქაურებს ძლიერი მხოლოდ მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსი ჰყავთ, მაგრამ მისი ძირითად გუნდში გადაყვანა არაევროკავშირელობის გამო ძნელდება, „ბარსაში“ ხომ არაევროკავშირელთა ლიმიტი რონალდინიოს, ეტოოს და რაფაელ მარკესს აქვთ შევსებული.

თითქოს „კამპ ნოუზე“ შვედი ჰენრიკ ლარსონი უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ 35 წლის ვეტერანმა ისევ „ბარსაში“ თამაშის დაწყების ამბავს წყალი გადაუწურა.

„არც ჩემთვის და არც ჩემი ამჟამინდელი კლუბის, „ჰელსინგბორგისთვის“ „ბარსელონას“ მხრიდან ოფიციალურად არავის მოუმართავს. ეს მხოლოდ ჭორია და მეტი არაფერი“ — თქვა ლარსონმა.

ლადო ხომერიკი

ობი, მოგვეკიდა ობი

ნიგერიელ ვარსკვლავს, 22 წლის ობაფემი მარტინსს შეუთვალეს, სანამ დროა მაგ „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ მოკურცხლეო. ეს სიტყვები „ინტერის“ ყოფილ თავდამსხმელს, რომლის ასაკიც ერთიხანობა იდუმალებით გახლდათ მოცული, („ნიუკასლმა“ მის ყიდვაზე კინაღამ ხელი აიღო, რადგან ჩააწვეთეს, რომ მარტინსს საბუთებში ექვსი წელიწადი ჰქონდა გადაკეთებული) ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის შეფმა ვაიდი აკანიმ უთხრა. აკანი დარწმუნებულია, რომ მარტინსი „ინტერიდან“ „ნიუკასლში“ არ უნდა გადასულიყო.

აკანიმ განაცხადა: „მარტინსი სასწრაფოდ უნდა გადავიდეს პრემიერლიგის ისეთ გუნდში, რომელიც წარმატებებს აღწევს. მისი მომავალი გუნდი არ უნდა იყოს „ნიუკასლივით“ ბეჩავი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფეხბურთელის კარიერა დაღმა წავა“.

აღსანიშნავია, რომ ინგლისში გადაბარგების შემდეგ ობაფემი მარტინსი ხშირად შავდება და ტრავმების გამო მიმდინარე სეზონში მხოლოდ 10 შეხვედრაში მოახერხა თამაში.

აკანი დასძენს: „მარტინსი რომ „ნიუკასლში“ ცუდად თამაშობს, ამას ყველა თვალნათლივ ხედავს. პრემიერლიგას ფრიად რთული ჩემპიონატი აქვს და მოთამაშისთვის, რომელიც იქ სერია A-დან მივიდა, ცუდად თამაში ნამდვილად დამღუპველია. ერთი ასეთი წელიწადიც და კლუბს იგი თავიდან მოსაშორებელი გაუხდება. თუმცა, იმასაც ვიმედოვნებ, რომ „ნიუკასლი“ გამარჯვებათა გზას დაადგება და ობაფემიც თავის კარიერას გადაარჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარკვეული ხანი რომ გავა, საეჭვოა, პრემიერლიგის რომელიმე კლუბმა მისი გადაბირება ისურვოს“.

„ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელი გლენ რიოდერი კი ამ საკითხს სხვანაირად უყურებს. მას მაგალითად, „არსენალისა“ და ტიერი ანრის ამბავი მოჰყავს და ამბობს, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაფერზე მნიშვნელოვანი მოთმინებაა.

„ობა ვარჯიშებზე საკმაოდ სრულფასოვნად მყავს შესწავლილი და მის ოსტატობას აბსოლუტურად ვენდობი. ის 22 წლისაა, თან ჩამოვიდა სრულიად განსხვავებული კულტურის ქვეყნიდან, იტალიიდან და შესაბამისად, მეტი მოთმინება სჭირდება. თუ გახსოვთ, დაუყოვნებლივ ვერც ტიერი ანრიმ მოახდინა ეფექტი, მაგრამ არსენ ვენგერი არ ჩქარობდა და ასეთი დამოკიდებულებით ისტორიული ფეხბურთელი შექმნა“.

პაპუნა კედია

არც მწვადი, არც შამფური

„სამეფო კლუბის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა გუნდის ახალწვეულის, მარსელოს პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ 33 წლის რობერტო კარლოსმა „რეალთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაიხანგრძლივა. ასე რომ, ვეტერანი ბრაზილიელი მადრიდში 2008 წლის ივნისამდე დარჩება.

„რობერტო კარლოსის კონტრაქტი ყველას გულით გვეწადა. გუნდში, მისი შემცვლელი მარსელო იქნება, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც რობერტო კარლოსი ჩვენგან წასვლას მოისურვებს“ — თქვა რამონ კალდერონმა.

ბრაზილიელთან ხელშეკრულების განახლება მხოლოდ მისი კონტრაქტიდან ერთ-ერთი მუხლის ამოგდების შემდეგ მოხერხდა. ძველი შეთანხმებით, რობერტო კარლოსს ხელშეკრულებას მხოლოდ მაშინ გაუხანგრძლივებდნენ, თუ იგი „რეალში“ საამსეზონოდ 35 მატჩს ჩაატარებდა. რობერტომ გუნდის სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს გასაქანი არ მისცა და ჯიუტად ითხოვდა, ახალი შეთანხმება მაგ სულელური მუხლის გარეშე გავაფორმოთო.

წინასახელშეკრულებო ინტრიგა კი მწვავე იყო. რობერტო კარლოსმა „რეალს“ მთელი ზაფხული კონტრაქტზე ლაპარაკით გული გაუწყალა, ხან „ჩელსიში“ გადასვლით დაემუქრა, ხან კიდევ ყატარულ გუნდში გადაბარგებით. როცა „სამეფო კლუბში“ ახალი პრეზიდენტი, კალდერონი მივიდა, ბრაზილიელმა კონტრაქტის გახანგრძლივებაზე სიტყვა მასაც ჩამოუგდო. სენიორ რამონმა აბეზარ ვეტერანს თავაზიანად მოუსმინა და კაბინეტიდან ბუნდოვანი დაპირებებით გამოისტუმრა — პრეზიდენტის მიზანი მაშინ ახალი მარცხენა მცველის ყიდვა გახლდათ.

კალდერონისგან დაწუნებულ კარლოსს მოკავშირედ ფაბიო კაპელო გამოუჩნდა. ხოტორა „ბრაზილიერო“ „რეალის“ მწვრთნელის ფავორიტია და კაპელოც „ფლუმენენსედან“ ახალი მარცხენა უკანახაზელის გადმოყვანის იდეას ამრეზით შეხვდა... თუმცა იტალიელი ტრანსფერს მაინც შეურიგდა. რთი რომ, მარსელო გუნდის თავკაცთა დაჟინებული მოთხოვნით გამო შეიძინეს და მეორეც — მის ფავორიტ კარლოსს კონტრაქტი მაინც განუახლეს.

ლადო ხომერიკი

მარსელო: ჟუნიორული ფრენა ცაში

„რეალში“ ოფიციალურად წარდგენის შემდეგ მარსელო ვიეირა და სილვა ჟუნიორი ესპანურ მედიას გაესაუბრა. „სამეფო კლუბს“ იგი რობერტო კარლოსის შემცვლელად შეუგულებია. ბედნიერმა მარსელომ თავიდანვე განაცხადა, რომ „რეალის“ საკეთილდღეოდ არაფერს დაიშურებს...

რობერტო კარლოსი ჩემი კერპია, მე უნდა დავლეწო ჩემი კერპი

— თავს როგორ გრძნობთ?

— ძალიან კარგად. მსოფლიო ფეხბურთის გრანდში ჩავირიცხე, რომელსაც 104-წლიანი ისტორია აქვს. ცხადია, ბედნიერი ვარ, აქ რომ მოვხვდი. იმედი მაქვს, „ბერნაბეუზე“ დიდხანს დავრჩები და ბევრ ტიტულსაც მოვიგებ.

— რას ნიშნავს 18 წლის ახალგაზრდისთვის მადრიდის „რეალში“ გადასვლა?

— პირადად ჩემთვის ეს ლამაზი ზღაპრის სინამდვილედ ქცევაა. ცოტა ხნის წინ საკმაოდ ცნობილი კლუბის, „ფლუმენენსეს“ წევრი ვიყავი, თუმცა მადლობა „რეალს“, რომ ლეგენდარულ გუნდში თამაშის შანსი მომცა.

— „რეალი“ რატომ აირჩიეთ?

— სხვა გუნდებიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ჩემი მიზანი „რეალში“ მოხვედრა იყო. ეს საოცარი კლუბია, რომელსაც უამრავი ჯილდო აქვს — თუნდაც ჩემპიონთა თასზე „რეალის“ მიღწევები გაიხსენეთ... მოკლედ, სამეფო გუნდმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

— „ბერნაბეუზე“ ბევრი თქვენი თანამემამულე თამაშობს. ეს კლუბთან შეჩვევაში დაგეხმარებათ?

— რა თქმა უნდა, ყველაფერს ამიხსნიან და იმედია, ადაპტაციაში ხელს შემიწყობენ.

— ამბობენ, რომ თქვენ რობერტო კარლოსის შემცვლელი ხართ...

— ერთსა და იმავე პოზიციაზე ვთამაშობთ, მაგრამ კარლოსის დონემდე ჯერ ბევრი მიკლია. რობერტო კარლოსის თაყვანისმცემელი ვარ, მის თამაშს ბავშვობიდან ვუყურებ და შეგიძლიათ, ფანადაც ჩამთვალოთ. ახლა კი იმედი მაქვს, რომ მადრიდში ჯილდოების მოგებას მეც შევძლებ.

— რას შემატებთ „რეალს“?

— რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ გუნდის გამარჯვებისთვის.

— კაპელოს შეგირდებიდან რომლებს გამოარჩევდით?

— ზოგიერთი მათგანის, მაგალითად, ბექემის თამაში ტელევიზორში მინახავს, თუმცა დარწმუნებული ვარ, ყველანი ძალიან ძლიერები არიან. რომელი ერთი გამოვარჩიო, „რეალში“ ხომ ვარსკლავების მთელი კრებულია.

— მადრიდში ბურთაობა დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას უკავშირდება. ამისთვის მზად ხართ?

— „ფლუმენენსეში“ ყოფნის გამოცდილება უკვე მაქვს და ბრაზილიის ნაკრებშიც ვთამაშობ. მზად ვარ, ყველანაირი დაძაბულობა ავიტანო, „რეალში“ ბრძოლისთვის და გამარჯვებისთვის მოვედი.

— ბრაზილიის ნაკრებში თქვენი დებიუტი შესანიშნავი გოლით აღნიშნეთ...

— გეთანხმებით, უკეთეს დებიუტზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. „ფლუმინენსეში“ ნაკრებში მოსახვედრად ბევრს ვშრომობდი და უქმად ყოფნას არც მადრიდში ვაპირებ.

— „რეალში“ თამაში ნაკრებში მუდმივად ყოფნის დამატებით შანსებს მოგცემთ?

— რასაკვირველია, თუმცა მხოლოდ „რეალის“ ფეხბურთელობა „სელესაოს“ ძირითადობის გარანტიას არ იძლევა. ყველაფრის მისაღწევად თავდაუზოგავად მუშაობაა საჭირო.

— შეტევაში ჩართვაც გიყვართ თუ ყურადღებას მხოლოდ დაცვას აქცევთ?

— მე მცველი ვარ, თუმცა იერიშებშიც ვერთვები.

— ალბათ იცით, ფაბიო კაპელო ძალიან მკაცრი მწვრთნელია...

— ასეც უნდა იყოს. გუნდის ვარჯიშები მატჩებივით მნიშვნელოვანია. რბილი ხასიათის მქონე დამრიგებლები კი ფეხბურთელებთან საქმიან ურთიერთობაში ხშირად წარმატებებს ვერ აღწევენ.

— ახლა ყველაზე მეტად რისი გაკეთება გსურთ? „ვალდებებს“ მოედნის მონახულება თუ ახალი თანაგუნდელების გაცნობა...

— ყველაზე მეტად ფეხბურთის თამაში მინდა. მსურს, მოედანზე, რაც შეიძლება მალე გავიდე და „რეალის“ ინჩასებს ჩემი შესაძლებლობები ვაჩვენო.

— უპირატესობას რომელ ჯილდოებს ანიჭებთ?

— ყველა ჯილდო მნიშვნელოვანია და უარს არც ერთის მოპოვებაზე არ ვიტყვი.

დანიის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ მიქაელ ლაუდრუპი აღიარეს. დაჯილდოების ცერემონიალი კოპენჰაგენში გაიმართა და ეს ჯილდო ლაუდრუპს ლეგენდარულმა მიშელ პლატინიმ გადასცა. წლის საუკეთესო მოთამაშედ კი ესპანური „სევილიის“ ნახევარმცველი კრისტიან პოულსენი დასახელდა.

ინგლისური „ევერტონის“ ავსტრალიელმა შემტევმა ნახევარმცველმა ტიმ კეჰილმა სერიოზული ტრავმა მიიღო. მან თანაგუნდელ ლი კარსლისთან შეჯახებისას მუხლი დაიშავა და, ექიმების თქმით, სულ ცოტა, ორი თვე ვერ ითამაშებს.

შვედეთის წლის საუკეთესო მოთამაშედ ლონდონის „არსენალის“ 29 წლის ნახევარმცველი ფრედი ლიუნგბერგი აღიარეს. „ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ ეს ჯილდო მერგო, თუმცა „არსენალსა“ და ეროვნულ ნაკრებში ჩემი თანაგუნდელების ასევე კარგი თამაში რომ არა, ამ ტიტულს ვერ მოვიპოვებდი“ — თქვა ლიუნგბერგმა.

უკრაინის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს მეორე ვაჟი შეეძინა. შევას მეუღლის კრისტენ პაზიკის მშობიარობამ კარგად ჩაიარა და იგი თავს მშვენივრად გრძნობს. ახალშობილს კრისტიანი დაარქვეს.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელ უეინ რუნის პოლიციასთან კვლავ პრობლემები აქვს. მას 14 ოქტომბრის ღამეს მავანი ფოტოგრაფის გალახვა ბრალდება. რუნი განყოფილებაში დასაკითხადაა დაბარებული.

იტალიური „ფიორენტინა“ შეიძლება ორი ბრაზილიელით გაძლიერდეს. „იები“ „ფლუმინენსესა“ და „კორინთიანსის“ ახალგაზრდა მოთამაშეებით, შესაბამისად, ლენითა და რაფაელ მოურით არიან დაინტერესებულნი. ფლორენციელთა სპორტული დირექტორი პანტალეო კორვინო მათი თამაშის სანახავად ბრაზილიაშიც კი ჩავიდა.

სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელ აფშინ გოტბის ირანში შესასვლელი ვიზა არ მისცეს. საინტერესოა, რომ გოტბი წარმოშობით ირანელია, მაგრამ ამერიკის მოქალაქეა და არაოფიციალური ვერსიით, ვიზა სწორედ ამის გამო არ მისცეს. „სეულში ირანის საელჩომ ვერ დაგვისახელა კონკრეტული მიზეზი, რის გამოც გოტბის ვიზა დაუბლოკეს. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ მას ამერიკის მოქალაქეობა აქვს, არადა, ირანშია დაბადებული. თუ იგი ბოლოს და ბოლოს ვერ მოხვდება თეირანში, იძულებული გავხდებით, აზიის ფეხბურთის კონფედერაციას საჩივრით მივმართოთ“ — ნათქვამია სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებაში.

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		18 ნოემბერი						
16:45	1	სიტი-ფულემი	2.30	3.20	3.00	1.33	1.30	1.54
19:00	2	არსენალი-ნიუკასლი	1.30	4.60	10.00	1.01	1.15	3.15
19:00	4	ჩელსი-ვესტ ჰემი	1.23	5.20	14.00	1.00	1.13	3.79
19:00	6	ევერტონი-ბოლტონი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
19:00	7	პორტსმუთი-უოტფორდი	1.55	3.50	6.50	1.07	1.25	2.27
19:00	8	რედინგი-ჩარლტონი	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
19:00	9	შეფილდი-მანჩესტერი	9.50	4.50	1.30	3.05	1.14	1.00
21:15	11	მიდლსბრო-ლივერპული	3.10	3.20	2.20	1.57	1.28	1.30
		19 ნოემბერი						
17:30	13	უიგანი-ასტონ ვილა	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
20:00	14	ბლექბერნი-ტოტენჰემი	2.30	3.30	2.85	1.35	1.27	1.52
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		17 ნოემბერი						
23:45	15	კარდიფი-ქპრ	1.65	3.40	5.00	1.11	1.24	2.02
		18 ნოემბერი						
16:00	16	ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
19:00	17	კრისტალ პალასი-ბარნსლი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	18	ქოვენტრი-უენსდი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	19	ჰალი-სტოკი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	20	ლიდსი-საუთჰემპტონი	2.35	3.00	2.75	1.31	1.26	1.43
19:00	21	ლესტერი-პრესტონი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
19:00	22	ლუტონი-დერბი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	23	საუთენდი-პლიმუთი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	24	სანდერლენდი-კოლჩესტერი	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
19:00	25	ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
		19 ნოემბერი						
15:30	26	იფსვიჩი-ნორვიჩი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
		ინგლისი. I ლიგა						
		18 ნოემბერი						
19:00	27	ბლეკპული-ჰადერსფილდი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
19:00	28	ბორნმუთი-კარლაილი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
19:00	29	ბრენტფორდი-ქრიუ	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	30	ბრაიტონი-ტრანმერი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	31	ბრისტოლი-ჯილინგემი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
19:00	32	ჩესტერფილდი-ჩელტენემი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
19:00	33	ლეიტონი-იოვილი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
19:00	34	მილუოლი-დონკასტერი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
19:00	35	ოლდემი-ბრედფორდი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
19:00	36	პორტ ვეილი-სუონსი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	37	როტერჰემი-ნოტინგემი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
19:00	38	სკანთორპი-ნორთჰემპტონი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
		ინგლისი. II ლიგა						
		17 ნოემბერი						
23:45	39	ჩესტერი-სტოკპორტი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
		18 ნოემბერი						
19:00	40	ჰერეფორდი-უოლსოლი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
19:00	41	ლინკოლნი-დარლინგტონი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
19:00	42	მაკლსფილდი-ბოსტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	43	მენსფილდი-პიტერბრო	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	44	დონსი-შრიუსბერი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	45	ნოტსი-რექსემი	1.65	3.30	4.80	1.10	1.22	1.95
19:00	46	ტორკი-სუინდონი	2.70	3.20	2.35	1.46	1.25	1.35
19:00	47	უიკომბი-გრიმსბი	1.55	3.50	5.70	1.07	1.21	2.16
19:00	48	აკრინგტონი-ჰარტლპული	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
19:00	49	ბარნეტი-როჩდეილი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
19:00	50	ბერი-როვერსი	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
		ინგლისი. კონფერენსი						
		18 ნოემბერი						
19:00	51	ალდერშოტი-საუთპორტი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
19:00	52	ალტრინჰემი-ქროული	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:00	53	კემბრიჯი-მორიკომბი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	54	დაგ ენდ რედი-ბარტონი	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
19:00	55	ექსეტერი-კიდერმინსტერი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
19:00	56	ფორესტ გრინი-ნორთვიჩი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
19:00	57	გრეივსენდი-ოქსფორდი	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
19:00	58	ჰალიფაქსი-სტ.რეინჯერსი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	59	სტ.ალბანსი-რაშდენი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
19:00	60	სტივენეიჯი-გრეისი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	61	ტემუორთი-უოკინგი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	62	ვეიმუთი-იორკი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		18 ნოემბერი						
19:00	65	აბერდინი-სტ.მირენი	1.65	3.30	5.00	1.10	1.24	1.98
19:00	66	სელტიკი-ინვერნესი	1.22	5.30	11.00	1.00	1.09	3.57
19:00	68	დანფერმლაინი-დანდი იუნ.	2.50	3.20	2.60	1.40	1.27	1.43
19:00	70	კილმარნოკი-ფოლკირკი	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
19:00	71	მოზერუელი-ჰიბერნიანი	2.85	3.20	2.30	1.50	1.27	1.33
		19 ნოემბერი						
18:00	69	ჰართსი-რეინჯერსი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		18 ნოემბერი						
19:00	795	ერდრი-სტ.ჯონსტონი	4.00	3.40	1.75	1.83	1.21	1.15
19:00	796	ლივინგსტონი-გრეტნა	3.20	3.30	1.95	1.62	1.21	1.22
19:00	797	პარტიკი-ჰამილტონი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
19:00	798	ქუინი-დანდი	2.75	3.30	2.20	1.50	1.22	1.32
19:00	799	როსი-კლაიდი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		გერმანია. I ბუნდესლიგა						
		17 ნოემბერი						
23:30	72	ბოხუმი-აინტრახტი	2.40	3.00	2.90	1.33	1.31	1.47
		18 ნოემბერი						
18:30	73	კოტბუსი -შალკე	3.30	3.10	2.15	1.59	1.30	1.26
18:30	74	დორტმუნდი-ჰერტა	2.15	3.00	3.40	1.25	1.31	1.59
18:30	75	მაინცი-ჰამბურგი	2.90	3.00	2.40	1.47	1.31	1.33
18:30	76	ნიურნბერგი-ლევერკუზენი	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
18:30	77	ალემანია-ვერდერი	4.90	3.40	1.65	2.00	1.23	1.11

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:30	79	ბაიერნი-შტუტგარტი	1.60	3.40	5.70	1.08	1.24	2.12
		19 ნოემბერი						
20:00	80	არმინია-ვოლფსბურგი	2.00	3.00	3.85	1.20	1.31	1.68
20:00	81	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	1.95	3.20	3.80	1.21	1.28	1.73
		გერმანია. II ბუნდესლიგა						
		17 ნოემბერი						
21:00	83	ბრაუნშვაიგი-დუისბურგი	3.65	3.20	1.90	1.70	1.24	1.19
21:00	84	კარლ ცაისი-ფრაიბურგი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:00	85	ოფენბახი-კაიზერსლაუტერნი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
		19 ნოემბერი						
17:00	86	პადერბორნი-ფიურტი	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
17:00	87	ესენი-აუე	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
17:00	88	აუგსბურგი-ბურგჰაუზენი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
17:00	89	კობლენცი-უნტერჰახინგი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
17:00	90	კიოლნი-მიუნხენი 1860	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
		20 ნოემბერი						
23:15	91	კარლსრუე-ჰანზა	2.15	3.00	3.10	1.25	1.26	1.52
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		18 ნოემბერი						
21:30	110	აუსტრია-ალტახი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
21:30	111	გრაცერი-რიდი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
21:30	112	მატერსბურგი-ტიროლი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
21:30	113	პაშინგი-შტურმი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		19 ნოემბერი						
18:30	114	ზალცბურგი-რაპიდი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		18 ნოემბერი						
20:45	121	ბაზელი-სიონი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
20:45	122	გრასჰოპერი-ციურიხი	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
20:45	123	შაფჰაუზენი-ლუცერნი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
		19 ნოემბერი						
19:00	124	სტ.გალენი-თუნი	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
19:00	125	იანგ ბოიზი-აარაუ	1.45	3.90	6.00	1.05	1.16	2.36
		იტალია. სერია A						
		18 ნოემბერი						
21:00	135	ემპოლი-მილანი	5.30	3.30	1.65	2.03	1.25	1.10
23:30	137	კალიარი-პალერმო	3.20	2.90	2.30	1.52	1.33	1.28
		19 ნოემბერი						
18:00	138	კიევო-ატალანტა	2.45	2.90	3.00	1.32	1.34	1.47
18:00	139	უდინეზე-სიენა	2.05	2.90	3.85	1.20	1.33	1.65
18:00	140	ინტერი-რეჯინა	1.20	5.50	12.00	1.00	1.09	3.77
18:00	141	ინტერი-რეჯინა 0:1	1.65	3.40	3.90			
18:00	142	ლივორნო-პარმა	1.90	2.90	4.50	1.14	1.33	1.76
18:00	143	მესინა-ლაციო	2.60	2.80	2.85	1.34	1.35	1.41
18:00	144	რომა-კატანია	1.25	5.00	11.00	1.00	1.12	3.43
18:00	145	რომა-კატანია 0:1	1.75	3.40	3.55			
18:00	146	ასკოლი-ფიორენტინა	5.50	3.30	1.65	2.06	1.26	1.10
23:30	147	ტორინო-სამპდორია	2.45	2.90	3.00	1.32	1.34	1.47
		იტალია. სერია B						
		17 ნოემბერი						
23:45	149	ტრიესტინა-პესკარა	1.70	2.90	5.80	1.07	1.31	1.93
		18 ნოემბერი						
19:00	150	ვიჩენცა-ტრევიზო	2.50	2.70	2.90	1.29	1.34	1.39
19:00	151	მოდენა-ჩეზენა	2.35	2.70	3.10	1.25	1.33	1.44
19:00	152	ნაპოლი-ბოლონია	1.95	2.80	4.00	1.14	1.31	1.64
19:00	153	რიმინი-ვერონა	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
19:00	154	ალბინოლეფე-იუვენტუსი	10.00	4.10	1.30	2.90	1.15	1.00
19:00	155	არეცო-ბრეშა	2.60	2.70	2.80	1.32	1.34	1.37
19:00	156	ფროზინონე-ბარი	2.55	2.70	2.90	1.31	1.33	1.39
19:00	157	ჯენოა-სპეცია	1.40	3.50	8.50	1.00	1.20	2.47
19:00	158	ლეჩე-კროტონე	1.75	3.10	4.50	1.11	1.25	1.83
		20 ნოემბერი						
23:45	159	მანტოვა-პიაჩენცა	2.30	2.70	3.20	1.24	1.33	1.46
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		18 ნოემბერი						
23:00	184	რეალი-რასინგი	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05
23:45	187	სევილია-ვალენსია	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
		19 ნოემბერი						
20:00	179	ესპანიოლი-ბილბაო	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59
23:45	180	დეპორტივო-სელტა	1.90	3.20	4.00	1.19	1.28	1.77
20:00	181	ლევანტე-ატლეტიკო	2.75	3.00	2.55	1.43	1.32	1.37
22:00	182	მალიორკა-ბარსელონა	5.85	3.60	1.55	2.22	1.22	1.08
20:00	186	უელვა-ოსასუნა	2.10	3.10	3.45	1.25	1.30	1.63
20:00	188	სოსიედადი-ბეტისი	2.35	3.10	2.90	1.33	1.29	1.49
20:00	189	ვილიარეალი-ხეტაფე	2.00	3.20	3.60	1.23	1.28	1.69
20:00	190	სარაგოსა-ტარაგონა	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		18 ნოემბერი						
23:30	203	სედანი-ლიონი	6.50	3.80	1.45	2.39	1.18	1.04
20:15	205	სოშო-ლილი	2.55	2.90	2.85	1.35	1.34	1.43
23:30	206	ლანსი-ნანტი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
23:30	207	მონაკო-ლორიანი	2.00	3.00	3.80	1.20	1.31	1.67
23:30	208	ნანსი-ტრუა	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
23:30	210	პსჟ-ბორდო	1.95	3.00	4.10	1.18	1.32	1.73
23:30	211	რენი-ლე მანი	1.95	3.00	4.10	1.18	1.32	1.73
23:30	212	სტ.ეტიენი-ნიცა	1.80	3.30	4.30	1.16	1.26	1.86
		19 ნოემბერი						
21:00	213	ოსერი-ტულუზი	2.20	3.00	3.30	1.26	1.32	1.57
23:45	214	მარსელი-ვალენსიენი	1.50	3.50	7.00	1.04	1.23	2.33
		ბელგია. I დივიზიონი						
		18 ნოემბერი						
21:00	226	გენტი-ანდერლეხტი	3.30	3.30	2.00	1.64	1.24	1.24
23:00	227	ლიერსი-ბეერსხოტი	3.40	3.30	1.95	1.67	1.23	1.22
23:00	228	რუზელარე-ბეევერენი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
23:00	229	სტანდარდი-სტ.ტრუიდენი	1.30	4.40	8.00	1.00	1.11	2.83
23:00	230	ვარეგემი-ვესტერლო	2.35	3.20	2.75	1.35	1.26	1.47
23:00	231	სერკლი-მონსი	2.05	3.30	3.20	1.26	1.24	1.62
23:00	232	ბრიუსელი-ლოკერენი	2.10	3.30	3.10	1.28	1.25	1.59
		19 ნოემბერი						
21:00	233	გენკი-ბრიუგე	2.25	3.20	3.00	1.32	1.28	1.54
23:30	234	შარლეროა-მუსკრონი	1.85	3.30	3.75	1.18	1.23	1.75
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		17 ნოემბერი						
23:15	244	ჰერაკლესი-ბრედა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
		18 ნოემბერი						
22:30	245	პსვ-ექსელსიორი	1.10	6.50	18.00	1.00	1.03	4.77
23:00	247	ფეიენოორდი-ალკმაარი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:00	248	ვალვაიკი-ჰერენვენი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:00	249	ნაიმეგენი-სპარტა	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		19 ნოემბერი						
17:30	250	უტრეხტი-როდა	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
17:30	251	აიაქსი-ტვენტე	1.40	4.00	7.30	1.03	1.17	2.58
17:30	253	დენ ჰააგი-ვიტესი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:30	254	გრონინგენი-ტილბურგი	1.50	3.50	6.00	1.04	1.20	2.21

ჰოლანდია. II დივიზიონი

17 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:00	255	ვეენდამი-როზენდალი	2.80	3.20	2.20	1.49	1.23	1.30
23:00	256	დენ ბოსხი-დორდრეხტი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
23:00	257	ეინდჰოვენი-კამბური	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
23:00	258	სიტარდი-გრააფსხაპი	3.90	3.40	1.75	1.81	1.20	1.15
23:00	259	ჰელმონდი-იგლსი	2.55	3.10	2.35	1.39	1.22	1.33
23:00	260	მაასტრიხტი-ემენი	2.25	3.10	2.70	1.30	1.22	1.44
23:00	261	ალმერე-ოსი	2.35	3.10	2.60	1.33	1.23	1.41
23:00	262	ტელსტარი-ვოლენდამი	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
23:00	263	ვენლო-ჰაარლემი	1.70	3.30	4.20	1.12	1.21	1.84
23:00	264	ზვოლე-აპელდორნი	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64

პორტუგალია. სუპერლიგა

17 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	267	ბეირა მარი-სეტუბალი	2.20	3.20	3.00	1.30	1.26	1.54

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	268	ბრაგა-ბენფიკა	2.90	3.20	2.25	1.52	1.26	1.32
23:45	271	პორტუ-აკადემიკა	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	266	ავეში-ნასიონალი	3.40	3.20	2.00	1.64	1.25	1.23
20:00	269	ფერეირა-ნავალი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
23:45	270	ლეირია-ბოავიშტა	2.15	3.20	3.00	1.28	1.25	1.54
23:15	272	მარიტიმუ-სპორტინგი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	265	ამადორა-ბელენენსეში	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43

საბერძნეთი

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	281	აეკ-კერკირა	1.20	5.50	11.00	1.00	1.08	3.66
21:00	282	არისი-ოლიმპიაკოსი	5.00	3.30	1.65	1.98	1.24	1.10

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	284	კალამარია-ერგოტელისი	2.15	2.90	3.30	1.23	1.30	1.54
17:00	285	ოფი-ეგალეო	2.20	2.80	3.50	1.23	1.35	1.55
18:45	286	ოლიმპია-ირაკლისი	1.85	3.10	4.10	1.15	1.27	1.76
19:00	287	პანიონიოსი-ქსანთი	2.10	2.80	3.60	1.20	1.32	1.57
21:00	288	პაოკ-იონიკოსი	1.30	4.50	9.00	1.00	1.13	3.00
21:00	289	ატრომიტოსი-პანათინაიკოსი	6.50	3.50	1.50	2.27	1.21	1.04

ჩეხეთი

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	320	ბანიკი-ტეპლიცე	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
20:00	321	სლოვაცკო-იაბლონეცი	2.80	3.00	2.40	1.44	1.29	1.33

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:15	319	ლიბერეცი-ბოლესლავი	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
18:00	322	პლზენი-კლადნო	1.95	3.10	3.60	1.19	1.26	1.66
20:00	323	ბრნო-პრჟიბრამი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
20:00	324	მოსტი-სპარტა	4.00	3.30	1.80	1.80	1.24	1.16
20:00	325	სიგმა-ზლინი	1.75	3.30	4.10	1.14	1.22	1.82

20 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:15	326	სლავია-ბუდეიოვიცე	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17

დანია. სუპერლიგა

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	339	კოპენჰაგენი-მიდტიულანდი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93

19 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	340	ნორდსიელანდი-ჰორსენსი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
18:00	341	სილკებორგი-ოდენსე	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
18:00	342	ვეილე-ოლბორგი	4.50	3.40	1.70	1.93	1.23	1.13
18:00	343	ვიბორგი-ესბიერგი	2.40	3.30	2.55	1.38	1.23	1.43
21:00	344	რანდერსი-ბრიონდბიუ	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26

ირლანდია

17 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	346	ბრეი-სლიგო	2.35	3.00	2.80	1.31	1.27	1.44
23:45	347	დერი-კორკი	1.90	3.10	3.80	1.17	1.26	1.70
23:45	348	დროგედა-უოტერფორდი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
23:45	349	შელბურნი-ბოჰემიანი	1.30	4.20	8.50	1.00	1.12	2.81
23:45	350	ლონგფორდი-სტ.პატრიკსი	2.25	3.10	2.90	1.30	1.26	1.49

შოტლანდია. თასი

18 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	800	არბროთი-ალბიონი	1.90	3.50	3.30	1.23	1.20	1.69
19:00	801	ბრეჩინი-ქუინზ პარკი	1.70	3.50	4.00	1.14	1.19	1.86
19:00	802	ისტ ფაიფი-ბერიკი	1.95	3.50	3.10	1.25	1.19	1.64
19:00	803	სტრანრარი-ალოა	2.30	3.30	2.60	1.35	1.22	1.45
19:00	804	ისტ სტირლინგი-სტირლინგი	7.00	4.80	1.30	2.84	1.09	1.02

ჰოკეი. შვედეთი

16 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	553	იურგორდენი-მალმიო	1.55	4.20	3.50	1.13	1.07	1.90
22:00	555	ფრიოლუნდა-ლულეო	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
22:00	556	ჰვ 71-აიკ	1.45	4.40	4.00	1.09	1.06	2.09
22:00	557	ლინჩიოპინგი-ბრიუნესი	1.65	4.30	2.80	1.19	1.03	1.69
22:00	558	მოდო-მორა	1.75	4.20	2.80	1.23	1.07	1.67

ჰოკეი. ფინეთი

16 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	570	ტაპარა-ილვესი	1.80	4.00	2.50	1.24	1.04	1.53
20:30	571	სეიპა-ტურკუ	2.10	4.10	2.20	1.38	1.07	1.43
20:30	572	ესეტი-ლუკო	2.15	4.00	2.20	1.39	1.08	1.41
20:30	573	ჰაამეენლინა-კერპეტი	2.10	4.10	2.20	1.38	1.07	1.43
20:30	574	იოკერიტი-ჰელსინკი	1.80	4.00	2.60	1.24	1.06	1.57
20:30	575	კალპა-იუვესკიულე	2.20	4.00	2.10	1.41	1.07	1.37

ჰოკეი. სლოვაკეთი

17 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	602	მიკულაში-ზვოლენი	2.40	4.10	2.00	1.51	1.09	1.34
20:00	603	პოპრადი-სკალიცა	1.30	4.60	6.00	1.01	1.06	2.60
20:00	604	სლოვანი-ნიტრა	1.40	4.40	4.80	1.06	1.08	2.29
20:00	605	ტრენჩინი-მარტინი	1.75	4.10	2.90	1.22	1.09	1.69
20:30	606	ჟილინა-კოშიცე	2.30	4.10	2.10	1.47	1.09	1.38

ჰოკეი. რუსეთი

16 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	657	აკ ბარსი-ტრაქტორი	1.17	5.00	6.50	1.00	1.00	2.82
20:00	658	ნეფტეხიმიკი-მაგნიტოგორსკი	2.40	4.20	2.05	1.52	1.10	1.37

კალათბურთი. ევროლიგა

16 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:15	783	ულქერი-ჟალგირისი	1.60	12.00	2.10	1.41	1.00	1.78
22:45	784	პროკომი-დინამო მ	2.40	12.00	1.50	2.00	1.00	1.33
22:45	785	მაკაბი-ხუვენტუდი	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:30	786	ლე მანი-ოლიმპიაკოსი	3.00	12.00	1.30	2.40	1.00	1.17
23:45	787	უნიკახა-ოლიმპია	1.06	12.00	6.00	1.00	1.00	4.00
23:45	788	ბარსელონა-ნაპოლი	1.06	12.00	6.00	1.00	1.00	4.00
23:45	789	ბოლონია-ენერგია	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77

სამხრეთ ამერიკის თასი

16 ნოემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	425	კოლო კოლო-ტოლუკა	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64

მოსკოვური ბოისამიანი

ევროპამ ქართული დერბი ნახა

სამშაბათი ევროტურნირების დღე იყო და ქართველებმაც თავი ისახელეს ევროპის მოედნებზე. საგმირო საქმე ჰქმნა ვლადიმერ ბოისამ მოსკოვში, სადაც მისმა „სიენამ" მძლავრი „ხიმკი" დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა, თუმც „ქართული დერბიც" არ იყო ნაკლები — ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი" ვახტანგ ნაცვლიშვილის „დიჟონის" წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ შარშან ვატო და ვიკა თანაგუნდელები იყვნენ, თუმც ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაუქობის შემდეგ სანიკიძე ესპანურმა „ესტუდიანტესმა" შეიმატა. და აი, სამშაბათს „დიჟონი" და „ესტუდიანტესი" ევროთასზე შეხვდნენ ერთმანეთს. მატჩი მადრიდში გაიმართა და ის ისტორიული გამოდგა ვიქტორ სანიკიძისთვის, რომელმაც პირველი ქულები მოიპოვა ესპანური გუნდის მაისურით.

სანიკიძემ აქამდე სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა, ყველაში 6 წუთი ითამაშა, მაგრამ კინკილა ქულაც ვერ მიითვალა. „დიჟონის" წინააღმდეგ კი ვიკა მოულოდნელად ხუთეულში გაამწესა ესპანური გუნდის დამრიგებელმა და ათწუთიანი ბურთაობა ქართველმა 5 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა. სანიკიძემ ორიდან ერთი სამქულიანი და ერთიც ორიანი ჩააგდო, ფარიდან ასხლეტილი ბურთები კი სულ დაცვაში მოხსნა.

თითქოს არაფერი უჭირდა „ესტუდიანტესს", რომლის უპირატესობაც მეორე მეოთხედშივე ასცდა 10-ქულიან ზღვარს, მაგრამ ესპანელებს „დიჟონის" ქართველმა ცენტრმა (ასე მოიხსენიებენ ნაცვლიშვილს ევროპელი ჟურნალისტები) არ დაანება და თამაში რომ გათანაბრდა, სწორედ ვატოს დამსახურებაა.

ბოლო მეოთხედში ნაცვლიშვილმა სულაც თავზე ხელი აიღო და მიჯრით ჩაგდებული 6 ქულის შემდეგ თავისიანები 70:69 დააწინაურა. ამის მერე გუნდები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს და ბოლო წამებზე ესტუდიანტესელი ფრანცისკო მენდიბურუს სამქულიანმა მასპინძლებს გაამარჯვებინა.

ნაცვლიშვილმა 26 წუთი გაატარა მოედანზე და 15 ქულა, 4 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა. მატჩის ბომბარდირი კი „ესტუდიანტესის" ამერიკელი ფორვარდი მერლონ გარნეტი გახდა 19 ქულით.

ბომბარდირი ვერ გახდა, მაგრამ არანაკლებ ახეირა თავისი გუნდი ვლადიმერ ბოისამ. მისი „სიენა" ულებ-ის თასის მატჩში მოსკოვის ოლქის „ხიმკის" ეთამაშებოდა და რომ იმარჯვა, სწორედ ბოისას უნდა უმადლოდეს.

ვოლკოვისკი, ოკულაია, ბუკერი, პოცეკო, ლამპე, გორენცი — ევროპის ამ ვარსკვლავებით დახუნძლული „ხიმკი" პირველი ტაიმის შემდეგ დამაჯერებლად უგებდა სიენელებს, მაგრამ სტუმრებმა ფხა გამოიღეს და ზედ ბოლო წამზე ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. ვინ ვინ და ეს ვლადიმერ ბოისამ შეძლო, რომელმაც საამმატჩო მონაგრიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ქულები ზედ საფინალო სირენამდე მიითვალა.

ძირითადი დროის დასრულებას ალარაფერი უკლდა, „ხიმკი" 91:88 იგებდა და „სიენა" მოსკოველებს გასათანაბრებლად მიეძალა. ბოისამ წამებში მოძებნა თავისუფალი ადგილი პერიმეტრზე, პასიც მიიღო და უზუსტესი სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა — 91:91.

დამატებით დროში ფსიქოლოგიურად უკვე გამარჯვებულმა სიენელებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს და „ხიმკი" 104:102 დაამარცხეს. ამჯერად გადამწყვეტი ბურთი იტალიელთა ლიტველმა ფორვარდმა რიმანტას კაუკენასმა ჩააგდო, რომელსაც საბოლოოდ 25 ქულა დაუგროვდა. ბოისას ანგარიშზე კი 23 წუთში 12 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი იყო.

ირაკლი პერტაია

ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელს, ქართული სპორტის პატრიარქს ნოდარ ჯორჯიკიას 85 წელი შეუსრულდა

დიდი კაცის დიდი დღე

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ულოცავს ნოდარ ჯორჯიკიას 85 წლის იუბილეს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს

დიდი, ძალიან დიდი დრო, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, ნოდარ ჯორჯიკია მეორე ლეგენდასთან, განუყრელ თანაგუნდელთან ოთარ ქორქიასთან ერთად რომ ბრწყინავდა საკალათბურთო მოედნებზე. მაშინდელი თბილისის „დინამო" და უფრო ადრეული, 40-იანი წლების თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდი, რომელთა ლიდერიც ჯორჯიკია იყო, ზედიზედ იგებდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს.

პარალელურად იყო საბჭოთა კავშირის ნაკრები, ევროპისა და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონობა და ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიური თამაშები, როდესაც ორი ქართველის წინამძღოლობით საბჭოთა ნაკრებმა მანამდე არნახული ბრძოლა გაუმართა უძლეველ ამერიკელებს.

სამწუხაროდ, ოთარ ქორქია რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა და ნოდარ ჯორჯიკია მარტო დარჩა ლეგენდარული წარსულიდან აწმყოსთან სალაპარაკოდ.

მარტო ყოფნა და საქმის კეთება ძნელია, მაგრამ ბატონი ნოდარი მაინც ლამაზად და კაცურად აკეთებს თავის საკეთებელს. ასე მოიყარა 85 წლისა და ქართული კალათბურთის ლეგენდასა და ერთ-ერთ სიმბოლოს დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ფაჩულიას მილუოკი დაავიწყდა

14 ნოემბერი

ატლანტა 101:103 მილუოკი

ატლანტა: ბოზმანი, ჯონსონი (29), უილიამსი (4 ქულა, 15 მოხსნა), სმიტი (4), ფაჩულია (26 წუთი, 8 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა); ლუ (29), ჩილდრესი (21), რაიტი (4), სტუდემაიერი (2), ფრეი

მილუოკი: უილიამსი (15), რედი (30), პატერსონი (16), ვილანუევა (12), ბოგუტი (13); ილიასოვა (7), გაძურიჩი (6), სკინერი (2), ბლეიკი (2), ბელი

მაიამი 105:112 დენვერი

მაიამი: ვეიდი (37 ქულა, 11 პასი, 8 მოხსნა), უოლკერი (22)

დენვერი: ენტონი (33), მილერი (29 ქულა, 11 პასი), კემბი (15)

მინესოტა 101:89 პორტლენდი

მინესოტა: დევისი (27), გარნეტი (20 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი)

პორტლენდი: რენდოლფი (26), დიქსონი (15)

ნიუ ორლეანი 94:85 შარლოტი

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (42)

შარლოტი: ოკაფორი (25 ქულა, 16 მოხსნა), მორისონი (21)

ჰიუსტონი 84:92 სან ანტონიო

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (26), მინი (20)

სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 15 მოხსნა), ჯინობილი (19)

დალასი 111:99 ჩიკაგო

დალასი: ნოვიცკი (31 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუსი (21), ტერი (17)

ჩიკაგო: ჰაინრიხი (25), დენგი (24 ქულა, 10 მოხსნა), გორდონი (17)

იუტა 112:90 კლიპერსი

იუტა: ოქური (21), ჰარპრინგი (18), ბუზერი (16 ქულა, 15 მოხსნა)

კლიპერსი: მობლი (18), ბრენდი (16)

გოლდენ სტეიტი 110:99 ტორონტო

გოლდენ სტეიტი: დევისი (22 ქულა, 12 პასი), დანლივი (22)

ტორონტო: ბოში (23 ქულა, 22 მოხსნა), ფორდი (16)

იღბალმა ზურგი აქცია ზაზა ფაჩულიას და მის „ატლანტას". ფაჩულიამ თავის ყოფილ გუნდ „მილუოკისთან" ამ სეზონის უცუდესი მატჩი ჩაატარა, მხოლოდ 8 ქულა გააკეთა და ისიც არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, სროლები არ წაუვიდა, არამედ იმის გამო, რომ თავად პასიურობდა და 26 წუთის განმავლობაში მხოლოდ ექვსჯერ ისროლა (3 ჩააგდო). ჯარიმაც მხოლოდ ორჯერ ტყორცნა, ესე იგი, დიდად არ შეუწუხებია თავისი ყოფილი თანაგუნდელები — გაძურიჩი, რედი, უილიამსი და სხვები.

„ატლანტამ" კი მთლიანობაში გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე მისმა ქართველმა ცენტრმა, მაგრამ ბოლო წამებზე მილუოკელები მასპინძლებზე უკეთ გაისარჯნენ და წაგებათა ოთხმატჩიანი სერია მაინც და მაინც ატლანტაში შეწყვიტეს. თავად „ჰოქსმა" კი ზედიზედ ოთხი მოგების შემდეგ მეორე შეხვედრა დათმო ბოლო წამებზე.

„წაგება ყოველთვის ცუდია, მაგრამ ეს მაინც გულდასაწყვეტი მარცხი იყო — ამბობდა ნამატჩევს „ჰოქსის" ლიდერი ჯო ჯონსონი, რომელიც სხვათა შორის, წინა კვირას აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა — ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით, მაგრამ ისევე, როგორც „სიეტლთან" წინა მატჩში, მოგება ახლაც ხელიდან გაგვიფრინდა."

სტუმრებმა შეხვედრა მასპინძლებზე გაცილებით უკეთ დაიწყეს. „მილუოკიმ" პირველი მეოთხედი 31:16 მოიგო და „ატლანტამ" მხოლოდ მესამე პერიოდში მოახერა სხვაობის გაქვითვა. თავი გამოიჩინა „ქორების" სათადარიგო გამთამაშებელმა ტაირონ ლუმ, რომელმაც მესამე 12-წუთეულის ბოლო ორნახევარ წუთში 8 ქულა გააკეთა და „ატლანტა" პირველად დააწინაურა — 77:75. კიდევ ერთი სამარქაფოს ჯოშ ჩილდრესის ძალისხმევით მასპინძლებმა ბოლო მეოთხედიც მძლავრად დაიწყეს და 10 ქულითაც გაიჭრნენ (88:78), მაგრამ მერე ეს უპირატესობა გაფლანგეს და გამარჯვება სათუოდ გაიხადეს.

ბოლო სამნახევარ წუთში ლიდერი შვიდჯერ შეიცვალა. „ატლანტა" ბოლოს 101:99 დაწინაურდა ლუს სამქულიანით, როცა დროის ამოწურვამდე 40 წამი რჩებოდა. ორი დღის წინ, „იუტასთან" 37 ქულის მომხვეჭმა მილუოკელმა მაიკლ რედმა თავი არც ახლა შეირცხვინა, ერთ შეტევაში 3 ქულა გაშანსა და სტუმრები დააწინაურა, რასაც „მილუოკის" თურქმა ახალბედა ერსან ილიასოვამ ერთი საჯარიმოც მიამატა — 103:101 სტუმართა სასარგებლოდ.

მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ მატჩის ხსნის დრო და შანსი, მაგრამ მილუოკელმა რუბენ პატერსონმა ჯო ჯონსონს ბურთზე ხელი წაუკრა და გააგდებინა.

დღის განმავლობაში გამართული სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ტეხასური დერბი — ჰიუსტონელი „რიკეტები" სანანტონიოელ „დეზებს" მასპინძლობდნენ და მესამე მეოთხედში 19 ქულითაც უგებდნენ. აქ „სან ანტონიოს" მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა ავანტიურისტული ნაბიჯი გადადგა, გუნდის ორი ოლსტარელი ლიდერი — ტიმ დანკანი და ტონი პარკერი სკამზე დასვა და მატჩის გადარჩენა სათადარიგოებს მიანდო. ამათაც სლოვენიელი ბენო უდრიჰის მეთაურობით ტრეისი მაკგრეიდის, იაო მინის და კომპანიას ერთი მონაკვეთი 20:1 მოუგეს და „სან ანტონიოს" ზედიზედ მეშვიდეთ აძლევინეს „ჰიუსტონი."

კოტე ყორშია

ოთარ თუშიშვილი, ლუკა კურტანიძე, გიორგი გოგშელიძე
და რევაზ მინდორაშვილი რუსებს მსოფლიოს სახელით დაეჰიდებიან

რუსის მსოფლიო საქართველოში ეტევა

კვირას მახაჩყალაში მსოფლიოს უძლიერესი თავისუფალი სტილით მოჭიდავეები შეიკრიბებიან და ლამაზ ერთდღიან სანახაობას გააჩაღებენ. დაღესტნის მთავარქალაქში რუსეთის შვიდეული მსოფლიოს ნაკრებს დაეჭიდება. ღონისძიება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მხარდაჭერით ტარდება და რუსთა პირისპირ დასაყენებელი შვიდი სპორტსმენიც ფილაში შეურჩევიათ.

„გუშინ ტელეფონით შეგვეხმიანნენ და მსოფლიოს ნაკრებში ოთხი ჩვენებურის მიწვევის შესახებ გვაცნობეს — გვახარა ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ომბარ შოშიტაშვილმა* — დაღესტანში ოთარ თუშიშვილს (66 კგ), რევაზ მინდორაშვილს (84 კგ), გიორგი გოგშელიძესა (96 კგ) და ლუკა კურტანიძეს (120 კგ) ელოდებიან, მწვრთნელად კი მარლენ ოსიყმაშვილი დაასახელეს.“

ქართველებისთვის რუსეთში მოხვედრა არცთუ ადვილი საქმეა. მით უმეტეს, დროის ასე მცირე მონაკვეთში. ქართველმა მოჭიდავეებმაც თადარიგი უმალ დაიჭირეს და დღე-დღეზე რუსეთის საელჩოდან ვიზებს ელიან.

„გართულებული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ტურნირის ორგანიზატორებმაც კარგად იციან. დაგვპირდნენ, რომ სავიზო პრობლემების მოგვარებაში ხელს შეგვიწყობენ. კვირამდე ხუთი დღეღა რჩება და დადებითი პასუხიც სწრაფად უნდა მივიღოთ, თორემ შეიძლება, მახაჩყალაში ვეღარც ჩავასწროთ. ეს კი თავად მასპინძლებისა და საერთაშორისო ფედერაციის პრესტიჟს შელახავს. ოსიყმაშვილი და მისი ოთხეული აზერბაიჯანის გავლით აპირებენ რუსეთში გამგზავრებას“ — დასძინა შოშიტაშვილმა.

ოთარ მაღლაკელიძე

საქართველოს მე-17 ჩემპიონატი

დღეს მაინც...

სამჯერ გადადებულ-გასაცოდავებული, ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს მე-17 ჩემპიონატი დღეს გლდანში, ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპეციალიზებულ ცენტრში გაიხსნება. ყოველი შემთხვევისთვის, მაინც დავამატოთ ტრადიციული „ალბათ“, რადგან აღარ გაგვიკვირდება, თავმოუბმელ შეჯიბრებას კვლავ რომ გამოუხტეს ხელის შემშლელი მიზეზი.

გუშინ ისევ მივაკითხეთ ეროვნული ასოციაციის ოფისს საბოლოო ამბების გასარკვევად. ორი მიზეზი იყო, რის გამოც ორჯერ ორქტომბერში, ბოლოს კი 10 ნოემბერს ვერ მოხერხდა ხუთგუნდა ტურნირის დაწყება. გუშინ დილითაც საბოლოოდ ვერ იყო დაზუსტებული ერთი-ორი განაცხადი და არც კლუბების სამონაწილეო თანხა ჩანდა ასოციაციის ანგარიშზე. სწორედაც რომ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — სულ რაღაც 640 ლარის გადახდა კლუბებისთვის პრობლემა როგორ უნდა გახდეს.

დღეს ცერცვაძის ცენტრის „ქარიშხალა“ თავის მოედანზე „ხელბურთის კლუბ თბილისს“ ეთამაშება. მატჩი 14 საათზე დაიწყება, ორი საათის შემდეგ კი არმიის სპორტული კლუბის დარბაზში „ხკ თბილისის“ მეორე გუნდი — „იმედი“ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის „მამულს“ უმასპინძლებს.

დღეს თამაშისგან თავისუფალია ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც „თელავთან“ შერწყმის შემდეგ „სტუ-თელავი“ დაერქვა. ხოლო ხვალ, ახალსახელიან კლუბს „თბილისთან“ უპრინციპულესი, სწორედ რომ საჩემპიონო დაპირისპირება ელის. შეხვედრა ასკ-ს დარბაზში 16 საათზეა დანიშნული.

გია ახალაძე

მუსიკასავით ამბავი

სამაისო და ჭლერადი: ოსკარი და ფლოიდი





ფლოიდ მეიველერ-უმცროსი ოსკარ დე ლა ჰოიას წინააღმდეგ — როგორ ჟღერს არა? სხვებისთვის ძნელი სათქმელია, მაგრამ კრივის მოყვარულთათვის ეს ნამდვილი მუსიკაა. ამ ბრძოლის ნახვა ყველას უნდოდა, ყველა ოცნებობდა, მაგრამ არავინ ელოდა, რომ ასრულდებოდა, რადგან რამდენიმე თვის წინ დე ლა ჰოიამ თქვა, ერთსაც ვიჩხუბებ და კრივიდან წავალო. კრივის თაყვანისცემელთ ყველა იმედი სამიოდე კვირის წინ გადაეწურათ — არგენტინელი კარლოს ბალდომირის გალახვისა და მორიგი ტიტულის მოგების შემდეგ უკვე მეიველერმა გამოაცხადა სპორტიდან წასვლის შესახებ და იქვე დაამატა, ჩემი ბოლო ოპონენტი ოსკარი ვერ იქნება, რადგანაც ჩემთან ბრძოლას გაურბისო.

ძნელი სათქმელია, ამ ინტერვიუმ იმოქმედა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ „ოქროს ბიჭმა“ მიიღო მეიველერის გამოწვევა — პრომოუტერებმა უკვე ხელი ხელს დაარტყეს, კონტრაქტსაც ხელმოწერა დაუსვეს და შეთანხმდნენ, რომ პრესის მიერ უკვე საუკუნის ბრძოლად შერაცხული ჯახი გაისად 5 მაისს ან ლოს ანჯელესში ანაც ლას ვეგასში შედგება.

მეიველერს ამ ბრძოლისთვის წონის მომატება მოუწევს, თუმც ფლოიდი ამას არად დაგიდევთ. აი, დე ლა ჰოიას კი კრივიდან წასვლა გადაუფიქრებია:

„შეგიძლიათ, გიჟად ჩამთვალოთ, მაგრამ ეს ბრძოლა ჩემთვის უკანასკნელი არ იქნება. კიდევ რამდენჯერმე გავალ რინგზე“ — განაცხადა „ოქროს ბიჭმა“. ვითომ დე ლა ჰოიას თავისი თავის იმედი არა აქვს და დამარცხებულის რანგში არ უნდა წასვლა? ძნელი სათქმელია, მაგრამ ახლა ამაზე კუდის გამობმას აზრი მაინც არა აქვს.

ისე, „საუკუნის ბრძოლა“ ორგანიზატორებს დიდ შემოსავალს ჰპირდება. და არც მოკრივეებს დაწყვეტენ გულს:

„კონტრაქტის პირობებზე ღიად არ ვილაპარაკებ, მაგრამ გეტყვით, რომ კრივის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა იქნება. ორივე კარიერის უმაღლეს ჰონორარს მიიღებს“ — განაცხადა დე ლა ჰოიას პრომოუტერმა დევიდ შეფერმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ოქროს ბიჭს“ 25 მილიონზე მეტს გადაუხდიან, მეიველერის ჰონორარმა კი 10 მილიონს უნდა გადააჭარბოს.

როგორც არ უნდა იყოს, ეს ორთაბრძოლა უდიდეს მოვლენად იქცევა პროფესიონალურ კრივში — ერთმანეთს ხომ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მოკრივე (როგორადაც მეიველერს თვლიან) და ალბათ ყველაზე ცნობილი მუშტის მქნეველი დაეტაკებიან.

ქახა ლომაია

ვაი კოკაის

იმპერატორის თასისკენ მიმავალ აღმართზე შვიდი დევკაცი დაწინაურდა. გუშინდელი, მეოთხე ტურის შეხვედრების შემდეგ „შესანიშნავი შვიდეულის“ ანგარიშზე ისევ ასპროცენტიანი მაჩვენებელია. დაუმარცხებელნი რჩებიან — იოკოძუნა ასასიორუ, ოძეკები ტიოტაიკაი და კაიო, სეკივაკე კოტომიცუკი და რიგითი მაეგაშირები კაკიძოე, ასასეკირიუ და ტამაკასუგა.

ლიდერებს კვლავაც ერთი ნაბიჯით ჩამორჩება მაკუტის უმძიმესი ბინადარი მიაბიამა. ამ 186-კილოგრამიანმა დევმა გუშინ მესამე ქუდა ქართველი კოკაის ძლევით მოინაგრა. ლევან ცაგურიას ანგარიშზე კი უკვე ოთხი მარცხია. ძნელი გასახსენებელია, „შავმა ზღვამ“ ბოლოს ასე სუსტად როდის დაიწყო. დარჩენილ თერთმეტ ტურში მან სულ ცოტა, რვა შეხვედრა თუ არ მოიგო, დადებითი ბალანსი — კატეგორია — გვერდზე დარჩება და ადვილი შესაძლებელია, კომუსუბის წოდებაც დაკარგოს.

დღეს კოკაის წინა ოთხ მეტოქესთან შედარებით სუსტ კისენოსატოს პირისპირ მოუწევს დადგომა. თუმცა უმძიმესი ჯახი რიგ ელის, ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს. აქამდე კოკაი-კისენოსატო ერთმანეთს ორჯერ დასჭიდებიან და ქართველი რიკისი ორჯერვე დამარცხდა.

ოთარ მაღლაკელიძე



კოკაი (მარჯვნივ) ფუკუოკას ბაშოზე ძველებურად ვერ ჩაუქობს

მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები
ნაგოია და ოსაკა. იაპონია

ნახევარფინალი

ბრაზილია 3:1 სერბეთი
25:17 25:14 21:25 25:20

რუსეთი 3:0 იტალია
25:19 25:16 25:20

AFP ოსაკიდან

ბრაზილია დაფრინავს
სოკოლოვამ იტალია დაკორტნა

მოლოდინისამებრ, მსოფლიო ჩემპიონის ვინაობას ერთმანეთში ბრაზილია და რუსეთი გაარკვევენ — დღესდღეობით ეს ორი ნაკრები ობიექტურად უძლიერესია და ფინალში ორივე დამსახურებულად შეგრიალდა. ერთადერთი მოულოდნელობა მხოლოდ მათი დანარჩენ ნაკრებებზე ესოდენ დიდი უპირატესობა იყო.

ჯერ ბრაზილიელებით დავიწყოთ, რომლებიც უპირობო ფავორიტის სტატუსით გამოვიდნენ ჩემპიონატის აღმოჩენად ქცეულ სერბებთან — ბალკანელებმა პროგრამა მაქსიმუმი უკვე შეასრულეს ასე შორს გასვლით და მათგან ახალ სენსაციას არავინ ელოდა.

სამხრეთამერიკელებმა მეტოქეს თავიდნავე უსწრაფესი ტემპი შესთავაზეს. საერთოდ, ბრაზილიელები თანამემამულე კაცების მსგავსად, სწრაფ შეტევებს ანიჭებენ უპირტასობას, რის გამოც დიაგონალურ თავდასხმელს იშვიათად რთავენ თამაშში და ძირითადად უკანა ხაზიდან უტევენ.

გუშინაც ასე მოხდა — სერბებმა ვერაფერი მოუხერხეს ბრაზილიელთა გამთამაშებელ ველისა გონზაგას, რომელიც ტრადიციულად ურთულეს კომბინაციებს ხლართავდა. სამაგიეროდ, თავიანთ პლეიმეიკერს უსიტყვოდ უგებდნენ სამხრეთამერიკელთა ლიდერები — შეილა კასტრო (20 ქულა) და ფაბიანა კლაუდინიო (16 ქულა), რომლებიც ძალიან ეფექტური შეტევებით იხვეჭდნენ ქულებს.

სერბებმა ვერ შეძლეს თავიანთი თამაშის ჩვენება, ხოლო მათი ლიდერი და კაპიტანი ვესნა ციტაკოვიჩი ძალიან პასიური იყო. ბალკანელებმა მხოლოდ მესამე სეტში გამოლეს ხელი და ისიც უფრო იმიტომ, რომ ბრაზილიელები მოეშვნენ. თუმც უკვე მომდევნო პარტიაში შეგირდების თამაშით გაცოფებული ჟოზე გიმარაეშისგან ცხელ-ცხელი სიტყვების მოსმენის შემდეგ ფავორიტები ძველებურად ათამაშდნენ და საქმე მალევე მოათავეს.

აი, მეორე ნახევარფინალი კი მართლაც ძალიან მოულოდნელი გამოდგა — რუსებმა ტანკივით გადაუარეს მოქმედ ჩემპიონ იტალიას. სლავებისგან ფინალში გასვლას კი მოელოდნენ, მაგრამ ასეთი უკბილო „აძური" კარგა ხანია, არავის უნახავს. რუსებმა მეტოქეს მხოლოდ ერთხელ „დართეს" ნება, სეტში 20 ქულა დაეგროვებინათ, რაც კარგად ასახავს მატჩის მიმდინარეობას.

როგორც აღმოჩნდა, სლავთა იტალიელმა დამრიგებელმა ჯოვანი კაპრარამ მშვენივრად აუხსნა თავის მოთამაშეებს ყოფილი შეგირდების ძლიერი და სუსტი მხარეები — რუსებმაც უბრალოდ იფრინეს, ხოლო მეტოქის ლიდერი ფრანჩესკა პიჩინინი მოჩვენებად აქციეს. გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით გამოიდო თავი ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა ლუბოვ სოკოლოვამ, რომელმაც ლაზარეთის დატოვება 21 ქულით აღნიშნა.

მოკლედ, კაპრარამ პირველივე ცდიდან გატეხა ნავსი, რომელსაც რუსთა აწ უკვე ლეგენადარულმა მწვრთნელმა ნიკოლაი კარპოლმა ვერაფერი მოუხერხა — სლავებმა დაძლიეს წყველად ქცეული ნახევარფინალური ბარიერი და ახლა ბრაზილიელებსაც დიდ ბრძოლას ჰპირდებიან.

ისე, გონზაგას თუ მაქსიმალური დისკომფორტი შეუქმნეს და ქებული ბლოკიც აამუშავეს, რუსები ფინალში აუტსაიდერებად სულაც არ მოჩანან.

კახა ლომაშვილი

მასტერსის თასი. შანხაი
ჰარდი (დარბაზი). საპრიზო 4 500 000 ევრო

ფარა შეტრიალდა
ბლეიკი პირველი ნახევარფინალისტია

ოქროს ჯგუფი

რაფელ ნადალი (2, ესპანეთი) 7:6 6:2 ტომი რობრედო (6, ესპანეთი)
ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 2:6 6:4 7:5 ნიკოლაი დავიდენკო (3, რუსეთი)

ჯეიმს ბლეიკი შანხაიში ბოლო წუთსღა მოხვდა და ისიც გამართლების ხარჯზე — ტომი ჰაასს ფეხი გადაუბრუნდა, ტომაშ ბერდიხს სიცხემ აუწია, ფერნანდო გონსალესი კი გამოიფიტა და ამერიკელს ადგილს ვეღარ შეედავნენ. მაგრამ ასეა თუ ისე, შავტუხა ამერიკელი წლის შემაჯამებელ ტურნირზე მაინც მოხვდა და ახლა იქ მისი გამჩერებელი არავინ ჩანს. ეგ კი არა, პირველი ჩოგბურთელია, ნახევარფინალში ადგილი რომ გაინაღდა.

ეს იმიტომ მოხდა, რომ ბლეიკმა ნიკოლაი დავიდენკოს მოუგო, რაფაელ ნადალმა კი თანამემამულე ტომი რობრედო წააქცია — ძალთა ასეთი განლაგებისას ამერიკელმა მესამე მატჩი რომც წააგოს, ჯგუფიდან მაინც გავა.

ისიც სათქმელია, რომ ბლეიკს მეტოქეებში მაგრად გაუმართლა — შეიძლება ითქვას, ჯგუფის წევრები მისი „კლიენტები" არიან. ასე განსაჯეთ, შავტუხა ამერიკელი ყველაზე უხერხული მეტოქეა როგორც ნადალისთვის, ისე დავიდენკოსთვის. ესპანელმა და რუსმა ჯერჯერობით ერთხელაც ვერ მოახერხეს ბლეიკის დაჯაბნა, დავიდენკო კი მან სულაც მეხუთედ დაამარცხა.

ამ წაგების შემდეგ დავიდენკოს ჯგუფიდან გასვლის შანსი ნაკლებად აქვს და ახლა ნადალთან მოუწევს უმძაფრესი ჯახის გადატანა, რომელშიც რუსს არანაირი უპირატესობა არ ექნება.

აი, ნადალს კი ბრძოლის გაგრძელების შანსი გუშინ მიეცა, როცა რობრედო ორ სეტში მიიოგნა. მაგრამ მალიორკელ ვარსკვლავბიჭუნას აქაც საკმაოდ გაუჭირდა და საერთოდ სათქმელია, რომ რაფა ფორმიდან აშკარად შორს არის. თუმც უმატებს და ეს რობრედომ თავის ტყავზე გამოცადა — ბრეიკი პირველმა გააკეთა და რომ ეგონა, უპირატესობა მოვიპოვეო, ნომერ პირველი პირინეელი სწორედ მაშინ ჩაირთო და მატჩიც სათავისოდ შემოატრიალა.

ასე რომ, ხვალ დიდი ესპანურ-რუსული ჯახი გაიმართება, რომელიც, სავარაუდოდ, როჯერ ფედერერის სანახევარფინალო მეტოქეს გაარკვევს. და თუ ეს ნადალი იქნება, რისი იმედიც ჩოგბურთის მოყვარულთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს, მაშინ სეზონის უმთავრესი ომის გაგრძელებას შანხაიში ვნახავთ.

კახა ლომაშვილი

ოქსანა და ლილია

16 წლის ოქსანა კალაშნიკოვამ ამერიკული ლოურენსვილის ჰარდზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე მატჩი მოიგო და შეჯიბრის ძირითად ბადეში გააღწია.

ოქსანას მესამე მეტოქე 20 წლისა და კლასიფიკაციაში 417-ე ადგილზე მყოფი არაბული წარმოშობის კანადელი ჰაიდი ელ ტაბაჰი იყო, რომელმაც ჩვენებურს პირველ სეტი 6:2 კი მოუგო, მაგრამ კალაშნიკოვამ ბოლომდე იბრძოლა, მეორე სეტის ტაიბრეიკზე 7:1 იმარჯვა და ანგარიში გაათანაბრა. მესამე სეტშიც უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა და ოქსანამ ბოლოსკენ გააკეთა გადამწყვეტი ბრეიკი — 2:6 7:6 7:5 ჩვენებურის სასარგებლოდ და ახლა, ძირითად ბადეში კალაშნიკოვა მეორე ნომრად განთესილ მრავალნაკად ამერიკელ ლილი ოსტერლოს შეხვდება. 28 წლის ოსტერლო ამ წუთისთვის რეიტინგში 114-ეა, მაგრამ იყო დრო, პირველ ორმოცდაათეულშიც შედიოდა.

ძირითად ბადეშია სოფო მელიქიშვილიც, ვისი პირველი მეტოქე რეიტინგის 134-ე ნომერი, 20 წლის კანადელი სტეფანი დიუბუა იქნება.

აი, ირაკლი ლაბაძისთვის კი, სამწუხაროდ, მორიგი შეჯიბრი დასრულდა უიღბლოდ. დნეპროპეტროვსკში მიმდინარე 125 ათას დოლარიანი ეჩლენჯერის პირველ წრეში ირაკლის მეტოქედ მე-2 ნომრად განთესილი იტალიელი ფილიპო ვოლანდრი ჰყავდა და უიმედოდ — 3:6 2:6 დამარცხდა.

ოთარ მხეიძე

სუფთად არ მუშაობთ!
ღია წერილი გატეხილ ლაბორატორიას

იენს ფოიგტი

ივან ბასომ გულიდან ლოდი გადაიგორა. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ველომრბოლს ამ ზაფხულს დოპინგის გამავრცელებელ ერთ ექიმთან ურთიერთობაში „ედებოდა ბრალი", რის გამოც თავისმა გუნდმა, დანიურმა CSC-მ ზედ „ტურ დე ფრანსის" წინ მოიკვეთა. იმ სკანდალში ბასოს გარდა, კიდევ რვა ველომრბოლი გაეხვია, რამდენიმე დღის წინ კი ყველანი უდანაშაულოდ ცნეს. ბასომ ახალი გუნდიც იპოვა, თვით ლენს არმსტრონგის ყოფილი სამკვიდრო „დისქავერი", რომლის სახელითაც და მაისურითაც ის მომავალი წლიდან გამოვა. მოკლედ, მძლავრი სპორტსმენი დიდ გზაზე ბრუნდება და რატომ უნდა გვეწყინოს ეს ამბავი?!

მაგრამ, როგორ ჩანს, ბასოს დაბრუნება ყველას არ ახარებს. მაგალითად, CSC-ში მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა, გერმანელმა იენს ფოიგტმა თქვა, ბასოს დაბრუნება მთლიანად ველოსპორტს აყენებს ჩრდილსო.

„ყველამ ვიცით, რომ ჩვენს გვერდით არაერთი მრბოლი იყენებს დოპინგს — ამბობს ფოიგტი — ეს ჩვენი ავადმყოფობაა და მას მკურნალობა სჭირდება, ოღონდ არა ასეთი, ზედაპირული და კოსმეტიკური. ბასოს და სხვებსაც დოპინგის მიღებაში ედებოდათ ბრალი, მაგრამ ახლა ისინი რბოლებს დაუბრუნდებიან. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. არ შეიძლება, ხალხს აფიქრებინოთ, რომ არაფერი შეცვლილა."

ამასობაში კი კიდევ ერთ, გაცილებით ხმაურიან დოპინგ-სკანდალში გარეული ველომრბოლი ფლოიდ ლენდისი იანვარში დანიშნულ სასამართლოს ელის, რომელზეც მისი დამნაშავეობა ან უდანაშაულობა უნდა დამტკიცდეს და, შესაბამისად, ჩამოერთვას ან შერჩეს ამ ზაფხულს მოგებული „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონის ტიტული. მისი დოპინგ-ტესტის შედეგები ფრანგულ ლაბორატორია შატენე-მელაბრიში ინახება, რომელსაც ამ ორშაბათს თავს დაესხნენ... ჰაკერები. კომპიუტერულმა ყაჩაღებმა სცადეს, ლაბორატორიის საინფორმაციო ბაზიდან სწორედ ლენდისთან დაკავშირებული ფაილების მოპარვა. შემდეგ მათ ლაბორატორიის ხელმძღვანელებს წერილიც დაუტოვეს — მთლად სუფთად არ მუშაობთ და სისხლის ანალიზის თქვენეული მეთოდები ვერავის ჩაუნერგავს თქვენდამი კეთილგანწყობასო.

ამ სიახლის თაობაზე ფლოიდ ლენდისს ჯერ არ გაუკეთებია კომენტარი.

კოტე ყორშია

თეთრი მეფე, ტანკი პაიკი

მიხაილ ტალის მემორიალი
5-19 ნოემბერი. მოსკოვი

VII ტური

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	0,5:0,5	ლევონ არონიანი (სომხეთი)
ბორის გელფანდი (ისრაელი)	1:0	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი)	1:0	ალექსეი შიროვი (ესპანეთი)
მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	0,5:0,5	პეტერ ლეკო (უნგრეთი)
ალექსნდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	0,5:0,5	შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)

რუსლან პონომარიოვი

გათამაშების ლიდერებმა რუსლან პონომარიოვმა და ლევონ არონიანმა პარტია ყაიმით დაასრულეს და ცხრილში მოწინავე პოზიცია შეინარჩუნეს. მათ მსგავსად ნახევარი ქულა დაკარგა მესამე ლიდერმა პეტერ ლეკომაც და ლიდერთა სამეული უცვლელი დატოვა.

უკრაინელმა დიდოსტატმა e4-ით დაიწყო შეხვედრა, მე-5 სვლაზე როქი გააკეთა და ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოუშვა. პონომარიოვმა ლაზიერის ფლანგზე პაიკები დაქოქა, მეტოქეს რამდენჯერმე მწარედ დაარტყა და ამ პოზიციაზე გამაგრდა. უსაქმოდ არც არონიანი იყო, მან საპირისპირო ხელმწიფის ფლანგიდან განავითარა იერიში, პაიკი რაკეტასავით გაუშვა და მე-12 სვლაზე თეთრ ხელმწიფეს ცხვირწინ დაუყენა. მოჭადრაკეებმა გაცვლებს მიმართეს, თუმც წინ ვერ გავიდნენ და 25-ე სვლაზე ბრძოლა დაასრულეს.

ნიმცოვიჩის დაცვით ითამაშა ლეკომ, თუმც ახალგაზრდა მაგნუს კარლსენი ვერ გატეხა. 15 წლის ვიკინგი ბოლომდე ებრძოლა დამშეულ მადიარს, ტოლი არაფერში დაუდო და 55-ე სვლაზე ყაიმზე დაიყოლია.

ყველაზე ბოლოს ალექსანდრ მოროზევიჩისა და შაჰრიარ მამედიაროვის შეხვედრა დასრულდა. დიდოსტატებმა 102 სვლა იბრძოლეს და ქულა ძმურად გაიყვეს.

ლაშა გეგეჭკორი

1 რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	4,5 ქულა
2 პეტერ ლეკო (უნგრეთი)	4,5
3 ლევონ არონიანი (სომხეთი)	4,5
4 ბორის გელფანდი (ისრაელი)	4
5 შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი)	3,5
6 ალექსანდრ გრიშჩუკი რუსეთი)	3,5
7 პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	3
8 ალექსეი შიროვი (ესპანეთი)	2,5
9 მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	2,5
10 ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი)	2,5

რეგულარული ჩემპიონატი





მარკ მესიემ ბრენდან შენაჰენი გამოარჩია

პირველი მესიე შენაჰენია

წუთნახევრიანი ხოშმარი ეშმაკებს

14 ნოემბერი

რეინჯერსი 3:2 ნიუ ჯერსი
0:1 0:1 3:0
0:1 ლანგენბრუნერი (10), 0:2 ჯიონტა (36), 1:2 იაგრი (43), 2:2 იაგრი (43), 3:2 შენაჰენი (44)

ფინიქსი 4:3 მინესოტა
0:1 2:1 2:1
0:1 დემიტრა (2), 0:2 ბერიში (22), 1:2 ბერო (24), 2:2 საპრიკინი (33), 2:3 უოლეი (47), 3:3 ბერო (48), 4:3 საპრიკინი (56)

კალგარი 3:0 სენტ ლუისი
1:0 0:0 2:0
1:0 ლენგკოუ (4), 2:0 ბუსელიუსი (4), 3:0 ფერენსი (37)

ვანკუვერი 2:3 დეტროიტი
0:0 1:1 1:2
0:1 ფილიპულა (25), 1:1 ჰ. სედინი (28), 1:2 ზეტერბერგი (42), 2:2 ბიეკსა (42), 2:3 ფრანცენი (47)

„დეტროიტმა" საკმაოდ მძიმე სტარტის შემდეგ ნელ-ნელა აკრიფა ტემპი და ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად „წითელმა ფრთებმა" ვანკუვერში იმარჯვეს და კვლავ დიდებულად ითამაშა უბერებელმა დომინიკ ჰაშეკმა, ვინც გასული კვირის შედეგების მიხედვით ატლანტელთა რუს ფორვარდ ვიაჩესლავ კოზლოვთან და კალგარელთა ფინელ გოლკიპერ მიკა კიპრუსოფთან ერთად ლიგის ვარსკვლავთა სამეულში მოხვდა.

წინა კვირის მადლი „დომინატორმა" ამ კვირაშიც გამოიყოლა და იგივე ითქმის კიპრუსოფზეც, რომელმაც სენტ ლუისთან შეხვედრაში სტუმრების ყველა დარტყმა აიღო, სეზონში მესამე შათაუტი გააკეთა და ლომის წილი დაიდო „ალების" გამარჯვებაში.

დღის მთავარი მატჩი კი ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" იყო — „რეინჯერსისა" და „ნიუ ჯერსი დევილზის" დერბი ყოველთვის პრინციპულია და გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა. თავიდან „ეშმაკებმა" იძალეს და ლანგენბრუნერისა და ჯიონტას გოლებით ორი პერიოდის შემდეგ 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ დასკვნითი მესამედის დასაწყისში, სულ რაღაც 90-წამიან მონაკვეთში ყველაფერი თავდაყირა დადგა — გამოჯანმრთელებულმა იარომირ იაგრმა 26 წამში ორი შაიბა გაიტანა, ანგარიში გაათანაბრა და ამავდროულად, საკარიერო მონაგარი 598 გოლამდე აიყვანა, ხოლო კიდევ ერთი წუთში ბრენდან შენაჰენმა მესამეც გაუტანა მარტინ ბროდოს და სტუმრები ნოკაუტში ჩააგდო.

შენაჰენი გუშინწინ „მედისონ სკვერ გარდენის" მთავარი გმირი იყო, ოღონდაც იქაურობის კერპის, მარკ მესიეს შემდეგ. მესიე ლეგენდარული დარბაზის ყინულზე იმიტომ დაბრუნდა, რომ მისი სახელობის ახალი პრიზის პირველი მფლობელი დაეჯილდოვებინა. შეგახსენებთ, რომ ლიგის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ახალი, მარკ მესიეს ჯილდო დაწესდა ყინულსა და მის გარეთ ლიდერის თვისებებით განსაკუთრებით გამორჩეული მოთამაშისთვის. ლაურეატებს თავად მესიე ასახელებს და პირველი, ისტორიული ჯილდოს მფლობელი სწორედ 37 წლის შენაჰენი გახდა, ვინც „რეინჯერსში" გადასვლის შემდეგ ახალგაზრდული აღმაფრენით თამაშობს და 18 მატჩში უკვე 14 გოლის ავტორია.

რა საჭიროა ორი სინჯი?!

მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო (ვადა) განიხილავს იმის შესაძლებლობას, რომ აკრძალული პრეპარატების მიღებისთვის მხილებული სპორტსმენები არა ორი, არამედ ერთი სადოპინგო ტესტის საფუძველზე დასაჯონ დისკვალიფიკაციით. ეს სააგენტო გამოდის ინიციატივით, რომ გაუქმდეს დოპინგ-სინჯი „B".

ამ წინადადებას ერთი წლის მერე მადრიდში გასამართ ვადას კონფერენციაზე განიხილავენ.

„ის პრაქტიკა, რომელიც დღეს არსებობს, დიდ დროსა და ფულს მოითხოვს, თუმცა ცვლილებებზე ნებისმიერი წინადადება საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ" — თქვა ვადას პრეზიდენტმა დიკ პაუნდმა.

ავთანდილ ჯყვიშელი



დიკ პაუნდი

გააუქმეთ? გაგაუქმებთ!

მძლეოსნობამ ალჟირი მოსვეთა

ალჟირის სპორტის სამინისტრომ თავისი ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაცია გააუქმა და იგი დროებითი კომიტეტით შეცვალა, ამგვარი გადაწყვეტილება კი მძიმედ დაუჯდა ამ ქვეყანას და მის მძლეოსნურ სამყაროსაც. საქმე ისაა, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ), როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფოს მხრიდან ფედერაციის საქმიანობაში ჩარევაზე თვალი არ დახუჭა, ამგვარ გადაწყვეტილებას „საერთოდ მიუღებელი" უწოდა და ალჟირის მძლეოსნობის ფედერაცია თავისი რიგებიდან დაუყოვნებლივ გარიცხა.

„იააფი მხარს დაუჭერს ეროვნულ ფედერაციებს, მათ დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ არჩევნებს, რაც სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფორმით ჩარევის წინააღმდეგ იქნება მიმართული" — განაცხადა იააფის პრეზიდენტმა ლამინ დიაკმა.

ასეა თუ ისე, ალჟირელი მძლეოსნები ამიერიდან ყოველგვარი საერთაშორისო შეჯიბრებიდან მოკვეთილნი არიან და როდემდე გაგრძელდება ასე, ეს უწინარეს ყოვლისა, უკვე თავად ალჟირის სახელმწიფოს შემდეგ ნაბიჯზეა დამოკიდებული".

ავთანდილ ჯყვიშელი


ლამინ დიაკი

AFP პარი ზიდან

საფრანგეთი — საბერძნეთი. ტიერი ანრის გოლი

AFP ამჟამერდამიდან

ჰოლანდია — ინგლისი. სტუმრებმა რუნის გოლი ვერ შეიერგეს

AFP ნიკო ზიდან

იოახიმ ლიოვს ვერ დაუჯერებია: გერმანიამ კვიპროსზე ქულები დაკარგა

AFP ბერგამიდან

მარკო მატერაცი გუშინაც გამოირჩა: თურქებთან ავტოგოლი „შეემთხვა“

მაკედონია — რუსეთი. სკოპიეში არც მოედანზე დაუზოგავთ თავი და ერთმანეთი და არც ტრიბუნებზე — პოლიციამ 14 რუსი ფანი დაკავა

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი
შესარჩევი ეტაპი. V ტური. გუშინ

A ჯგუფი

ფინეთი 1:0 სომხეთი

1:0 ნურმელა (10)

ბელგია 0:1 პოლონეთი

0:1 მატუსიაკი (19)

პორტუგალია 3:0 ყაზახეთი

1:0 სიმაო (8), 2:0 რონალდუ (30), 3:0 სიმაო (85)

ფინეთი	5	3	2	0	7:2	11
სერბეთი	4	3	1	0	6:1	10
პოლონეთი	5	3	1	1	6:5	10
პორტუგალია	4	2	1	1	8:3	7
ბელგია	5	2	1	2	4:2	7
ყაზახეთი	5	0	2	3	1:7	2
სომხეთი	4	0	1	3	0:5	1
აზერბაიჯანი	4	0	1	3	1:8	1

D ჯგუფი

კვიპროსი 1:1 გერმანია

0:1 ბალაკი (15), 1:1 ოკასი (43)

ირლანდია 5:0 სან მარინო

1:0 სიმონჩინი (7ს.კ.), 2:0 დოილი (24), 3:0, 4:0, 5:0 კინი (31, 57პ, 85)

გერმანია	4	3	1	0	19:2	10
ჩეხეთი	4	3	1	0	13:2	10
სლოვაკეთი	4	2	0	2	12:9	6
ირლანდია	4	1	1	2	8:7	4
კვიპროსი	4	1	1	2	8:12	4
უელსი	3	1	0	2	5:8	3
სან მარინო	3	0	0	3	0:25	0

E ჯგუფი

მაკედონია 0:2 რუსეთი

0:1 ბისტროვი (18), 0:2 არშავინი (31)

ისრაელი 3:4 ხორვატია

1:0 კოლაუტი (8), 1:1 სრნა (35პ), 1:2, 1:3 ედუარდო (39, 54), 2:3 ბენაიუნი (68), 2:4 ედუარდო (73), 3:4 კოლაუტი (89)

ხორვატია	4	3	1	0	13:3	10
რუსეთი	4	2	2	0	5:1	8
ინგლისი	4	2	1	1	6:2	7
ისრაელი	4	2	1	1	9:6	7
მაკედონია	5	2	1	2	4:3	7
ესტონეთი	3	0	0	3	0:4	0
ანდორა	4	0	0	4	1:19	0

ამხანაგური მატჩები

მალტა 1:4 ლიტვა
ესტონეთი 2:1 ბელარუსი
ზიმბაბვე 3:2 ნამიბია
ალჟირი 0:2 ბურკინა ფასო
სლოვაკეთი 3:1 ბულგარეთი
შვედეთი 0:1 კოტ დივუარი
ტუნისი 2:0 ლიბია
ლუქსემბურგი 0:0 ტოგო
ჰოლანდია 1:1 ინგლისი
უნგრეთი 1:0 კანადა
ჩეხეთი 1:1 დანია
სერბეთი 1:1 ნორვეგია
ავსტრია 4:1 ტრინიდადი
მაროკო 6:0 გაბონი
შვეიცარია 1:2 ბრაზილია
ეგვიპტე 1:0 სამხრეთ აფრიკა
იტალია 1:1 თურქეთი
საფრანგეთი 1:0 საბერძნეთი
ესპანეთი 0:1 რუმინეთი
ალბანეთი — კონგოს დრ გადაიდო
ტანზანია — ანგოლა გადაიდო

ახალგაზრდულები (U-21)

პორტუგალია 3:0 სერბეთი
ესტონეთი 0:2 ბელარუსი
უკრაინა 3:1 უზბეკეთი

აზიის თასი 2008
საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩები

იაპონია 3:1 საუდის არაბეთი
უზბეკეთი 2:0 ყატარი
ჩინეთი 1:1 ერაყი
ჰონკონგი 2:0 ბანგლადეში
ირანი 2:0 კორეა
სირია 3:0 ტაივანი
იემენი 2:1 ინდოეთი
საამიროები 3:2 პაკისტანი
იორდანია 3:0 ომანი
ბაჰრეინი 2:1 ძუვეითი
სინგაპური — პალესტინა გადაიდო

ჩეხეთი

თასის მერვედფინალი

ბრეცლავი 0:2 *სპარტა*

საბერძნეთი

თასის მეთექვსმეტედფინალი

იანინა 2:0 ეგალეო
ნიკი 2:0დ.დ.(0:0) არისი

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00